



# იქორი

E-mail: roland\_jalagania@yahoo.com



№142 (201) 25 ოქტომბერი - 1 ნოემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## დუ იუ სპიკ ინგლიუ?

(გაგრძელება. დასაწყისი „იქორი“ №141)

ქართველთა „გაინგლისელების საშეილისშეილო“ კამპანიის საქმედ გადაქცევა, უპირველესად კი თვითონ სააკაშვილს ძალუქს, მისი უპირველესი მისია გახლავთ. გვეჯერა, მიხეილი რამენაირად მოახერხებს „აუარება სახელმწიფოებრივ საქმე-პრობლემებიდან თავის დახსნას“ და ბათუმის ყველაზე მაღალი შენობის სახურავიდან, მთელ საქართველოში დამონტაჟებული მონიტორებით, დაუხარებლად და დაუყვედრებლად „გვაზიარებს“, დღემდე ინგლისურის უცოდინრობის გამო, ლამის ცოცხალ მიცვალებულებად შთქნილებს. და მერე, სამინისტროსა და კომპანია-ფირმაში სამუშაოს სათხოვნელად მისულებს, ცხრაპეტი-ოცი წლის გაბღენილი მინისტრებსა და დირექტორ-პრეზიდენტებისაგან კატეგორიული უარის სათქმელად დასმულ ირონიულ შეკითხვაზე: **“დუ იუ სპიკ ინგლიუ?”**, ერთობ თამამად და დაჯერებულად მოუპტრათ გზა მიხეილისგან **“ნასწავლი”** ინგლისურით: **იეს, აი სპიკ ინგლიუ! აი ემ კოსმოპოლიტენ მენ ან ვუმენ..**

ძალაუფლების მიმტაცებელმა შევარდნაძემ, თავისი უკანონო პარლამენტის უკანონო მოღალატე დეპუტატების მეოხებითა და იუსტიციის უკანონო მინისტრ მიხეილ სააკაშვილის **“იურიდიულად”** დადასტურებით წაგვართვა ეროვნება და უჯიშო კოსმოპოლიტ მასად გადაგვაცქია. ესლა, ასევე ძალაუფლების მიმტაცებელი სააკაშვილი გვართმევს ენას და ინგლისურად გვაიძულებს ამეტყველებას. უკვე, ათასობით **“ამერიკელი”** ჩამოიყვანა და სათანადო დავალებით და ლიტერატურით მომარაგებული ბაპტისტი, იეღოველი, კრიშნაიდი, ევანგელისტი, მორმონი და სხვა დამღუპველი სექტების წევრი **“მასწავლებლები”**, ინგლისურის ადვილად შესწავლის მიზნით, ოჯახებში ჩაუსახლდა ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისა მართლმადიდებელ ქრისტიანებს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს **“სწავლის პროცესში”**, უშუალოდ, ინგლისურის გარდა, შინაურმა **“მასწავლებლებმა”** მოსწავლეებსა და ოჯახის სხვა წევრებსაც, თავიანთი სექტების ლამაზად გაფორმებული წიგნებიც გადაუშალონ და თანდათან, მოთმინებით და გულდაგუოდ დააჯერონ მართლმადიდებლობასთან მათი უპირატესობა; ადვილად გადააწყვეტინონ მათს მხარეზე გადასვლა.. (ხოლო, თუ რას ასწავლის საკუთარ **“საწყმესოს”** ზუგდიდში ჩაბრძანებული, პირში ფაფოსგანირი **“პედაგოგი”** ფლენტერი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს – **“იქორი”**).

დღეს, თბილისში ბევრი ინგლისურენოვანი საბავშვო ბაღი, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელია გახსნილი. რუსეთის მიერ საქართველოს შემოერთების შემდეგ, თავადაზნაურობა და წარჩინებული საზოგადოება, რუსულად შეუდგა აღზრდა-განათლებას და ოჯახებშიც რუსულად დაიწყეს საუბარი. ამან განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში იმძლავრა – **“რჩეული წითელი ფენა”** (და არა მთელი ქართველი ერი – **“იქორი”**) მხოლოდ რუსულად საუბრობდა. საკმაოდ იყო რუსული სკოლები და უმაღლესი სასწავლებლების რუსულენოვანი ფაკულტეტები, სადაც ძირითადად ქართველები სწავლობდნენ. საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-დაწესებულებებშიც რუსულ ენაზე ხდებოდა საქმის წარმოება.

მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაიბრუნა ქართულმა ენამ თავისი მაღლი, ბრწყინვალეობა და კუთხოვლი უფლება-ადგილი. თუმცა, ძალზედ მცირე ხნით – სულ რამდენიმე თვით. პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და გაძევებასთან ერთად, ისევ დაიწყო ქართულის თანდათან შევიწროება. ამჯერად ინგლისურით და დღეს, ძალზედ ძალუქად იგრძნობა მისგან დაჯახების შემაშვოთელი საშიშროება. ალბათ, ის დღეც შეიძლება დაგვიდგეს, ოფიციალურად აგვიკრძალონ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და თუნდაც ჩურჩულით საუბრის გაგონებაზე, გვარიანი ჯარიმა მოგვარტყან, დაცარიელებული ხაზინის შესავსებად.

**მლიზბარ ჯაშვილიძე, აკადემიკოსი: “მე ვიცნობ ინგლისურს ენის კარგ სპეციალისტებს. მათი განცხადებით, სააკაშვილი და მისი გარემოცვა ძალიან პრიმიტიული ინგლისურით საუბრობს. უწიგნურები არიან და უნდათ, რომ პრიმიტიული ინგლისურით განგვაცვიფრონ”** (**“ქრონიკა”**, 2009წ. №29).

საკაშვილმა რომ ქართული არ იცის, ამიტომ მთელი საქართველო ინგლისურენოვანი უნდა გახდეს? (**“ასავალ-დასავალი”**, 2011წ. №5).

საკაშვილმა ქართული რომ არ იცის, გასაგებია, რადგან ენა ქართული, მისთვის მშობლიური არ გახლავთ. ინგლისური კი იცის? სამარცხვინოდ და გაჭირვებით ცოდვილობს დაზჯღერებული ამერიკულით!

მოგეხსენებათ, გიგის **“საოცნებო კურსები”**, ოცდასამი წლისა და სემდგომი ასაკის ადამიანებისთვის გახლავთ მოგონილი. დაწესებულ ასაკს ქვემოთ მყოფთ კი სკოლებსა

და უმაღლეს სასწავლებლებში შეასწავლიან მშობლიურ ენას გაჯიბრებულ ინგლისურს. უფრო მეტიც, მიხეილ სააკაშვილმა, სკოლაში შემსვლელთა ასაკი ხუთ წლამდე დასწია და საჯაროდ განაცხადა, რომ თითისხელა გოგო-ბიჭები, მხოლოდ კომპიუტერებით შეუდგებიან **“სწავლა-განათლებას”**. აი, ასე უნდათ აუმღვრიონ პატარებს ნორჩი გონება; კომპიუტერით უნდათ დაუმაბლონ ტვინი და აზროვნების სისტემა; დასაწყისშივე ამოუშანთონ, მთლიანად და საბოლოოდ ჩაუკლან ქართული ნიჭი და გონიერება. დიახ, ასეთი შეფარული და დამღუპველი ფორმით არის შედგენილ-ჩაფიქრებული ქართველების გონებრივად დაავადება და აჩქარებული განადგურება, ქართული ჯიშისა და გენის გაქრობა!

თავი ვანებოთ ძილქუშს, ქართველებო! თვალი გავახილოთ, გონს მოვევოთ, ერთად დავდგეთ და ხელი გამოვიღოთ, ავმოქმედოთ! ნუთუ მართლა გვინდა, რომ საბოლოოდ **“გაგვანგლისელონ”**..

**ბელა ჯიღაური**

**მინაწერი:** 2010 წლის 6 აგვისტოს, ქალაქის მერმა გიგი უგულავამ **“მოსავალი მოიმაკა”** – პირველ სამას **“კურსდამთავრებულს”** შეხვდა. შეკრებილებს შორის, სააკაშვილისნაირი მანერით, ნება-ნება მოტორტმანემ, დემ-აგოგიურად **“მიმოიხილა და შეაფასა სწავლის”** სამი თვე და **“მაღალი შეფასება”** არგუნა, მათგან ინგლისურის **“სასწავლო და დაუფლებას”**. ფუჭი და სამარცხვინოდ გაცვეთილი სიტყვების ბრაზა-ბრუხითა და ყალბი სახეიმო ელფერით შეხავებული მისალმების შემდეგ, სახე-გაცისკროვნებულ **“კურსდამთავრებულებს”** ფარატინა ფურცლები, ე.წ. **“სერტიფიკატები”** ჩამოურიგა და სამომავლო წარმატებების მიძღვნიტ დაემშვიდობა...

სწავლის დასაწყისში მიცემული **“აუცილებელი პირობა”**, კურსების გავლის შემდეგ ზოგისთვის პირდაპირ სამუშაოზე მოწოდებისა და დანარჩენისთვის სხვა რამ დახმარების შესახებ, თბილისის მერს სიტყვა არ დასცდენია და არც გახსენებია. მოხიბვე **“კურსდამთავრებულთაგანაც”** ვერაფერ გაბედა ხმის ამოღება.

ასეთია მონის ბუნება, რაც ზედმიწევნით აქვთ ამოცნობილი მიხეილს, გიგის და **“ნაციონალების”** ბანდის ყველა მაღალჩინოსანს.

ესლა **“კურსდამთავრებულებმა”**, ჩარჩოებში ჩასვან სერტიფიკატები, შინ თვალსაჩინო ადგილებზე ჩამოკიდონ და ყოველდღე მტკვრულადწამენდილი, თავმოწონებითა და სიამაყით აჩვენონ სტუმრად მისულ ნათესავ-მეზობელ-მეგობრებს!

**მინაწერის მინაწერი:** რუსეთთან ორდღიან ომში დამარცხებულმა **“გამარჯვებულმა მთავარსარდალმა”** მიხეილ სააკაშვილმა, 4 აგვისტოს, მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე მისვლითა და დანაშაულებრივად წაგებულ ომში დაღუპული ბიჭების პაპარად გახსენებით მოითავა საქმე. იმავე დღეს კოლუმბიაში, არავისგან მიპატიუებული, ახალარწეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად გაფრინდა. კარგახნით გაუჩინარებული, 15 აგვისტოს გამორჩნდა ბათუმში და უმაღ **“საშურ საქმეში ჩაება”** – ქართველი ბავშვების **“გასაინგლისელებლად”** უცხოეთის ქვეყნიდან ჩამოსულ **“ინგლისური ენის მასწავლებლებს”** შეხვდა.

2003 წლის **“რევოლუციის”** შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, განათლების **“რეფორმის”** აღტაცებულმა წამომწყებმა და ბოლოს მისი კრახით დამასრულებელმა მიხეილმა მორიგი წამოწყება, – **“ასწავლე და ისწავლე”**, ახალ სასწავლად გამოაცხადა.

მარადუამს დიდ დავითთან თავის გამტოლებელმა, ამერიკელი, კანადელი, ჩინელი და კორეელი, პოლონელი და ლიტველი **“ინგლისური ენის მასწავლებლების”** ჩამოყვანა დიდი დავით მეფის მიერ 30.000 ყივანდის ჩამოსახლება გაუთანაბრა.

ის, რომ უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ მასწავლებლებს ნაკლებად გაუჭირდებოდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების **“გაინგლისელება”**, გასაგებია. მაგრამ, მეორადი მოხმარების ტანსაცმლისა არ იყოს, მშობლიური ენის გარდა, ვინ იცის ინგლისურის როგორი მცოდნე სხვა ქვეყნიდან **“მასწავლებლებად”** მოვლენილებს, ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად არ შეექმნებათ. ესეც არ იყოს, განა რით უნდა აჯობონ იმ ორენოვანმა **“მასწავლებლებმა”**, ბევრად მათზე უკეთესად განსწავლულ ქართველ მასწავლებლებს? თუმცა, ყოველივე ქართულის უარყოფელ სააკაშვილს ამის გაგონებაც კი არ უნდა. უფრო მეტიც, სამი წლის მანძილზე გათვლილი **“საგანმანათლებლო რევოლუციად”** მონათლული ეს წამოწყება, ათი ათასი მასწავლებლის ჩამოყვანით ჰქონია გადაწყვეტილი.

თუმცე, ისეთი **“მასწავლებლებით”** სდომებოდა ამის გაკეთება, ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში რომ გააწვეს ვინმე თომას ფლენერი. გაზეთ **“ასავალ-დასავალის”** ორმოცდამეოთხე ნომერში, ქართველი ბავშვების

**“გამაინგლისებელი”** ესა არსება, შემზარავ ვითარებაში – ფალოსს დაწაფებული ვიხილეთ! არ არის გამორიცხული, იმ ათი ათას **“მასწავლებლებში”**, სხვებიც მრავლად იყვნენ ფლენერისნაირი **“ხელობის განმანათლებლები”**.

**ბობა ხაინძაშაძე, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი: “არ იცოდნენ ქართველმა მშობლებმა, ეს მასწავლებლები მე-9-10 კლასელ ბავშვებს ხან იქ რომ ჩაავლებენ ხელს და ხან აქ რომ წამოავლებენ?”**

ხმას რატომ არ იღებთ ქართველო მშობლებო? რამ დაგაბნევათ ასე, თქვე უბედურებო? შეილები არ გენანებათ? ქართველებო, შეილებზე იფიქრეთ, თორემ ისედაც ვერ ამოვალთ ამ სირცხვილიდან, რა სირცხვილიც გვატყამს სააკაშვილმა და **“ნაციონალურმა”** მოძრაობამ!

საკაშვილის პირველი მოწოდება იყო **ბუნებისკენ!** ახლა ბუნებისკენ მოწოდება ქალისა და კაცისაც კი აღარ არის, კაცისა და კაცის არის, ქალისა და ქალის არის და ეს გვეგზაზღმირად ხორციელდება” (**“ასავალ-დასავალი”**, 2010 წ. №44).

ბატონ ხაინძაშაძეს გულისწუხილიდან და შემოვით-ბიდან გამომდინარე, ჩვენც გვინდა შევეკითხოთ საქართველოს დამანგრეველი და ქართველების გამანანაგებელი სააკაშვილისა და მისი ბანდებისაგან სამარცხვინოდ, ღაწრულად და დანაშაულებრივად დაშინებულსა და ხმამიღვრელ მშობლებს: ნუთუ სულ მცირედით მაინც არ შეგაძრწუნათ და თავზარი არ დაგცათ დასახელებული წერილების წაკითხვამ, თვალთ არ დაგიბნელდათ და გონება არ დაკარგეთ შემზარავი ფოტოების დანახვაზე? მერედა, რა მოიმოქმედეთ უსაშინლესი კატასტროფისაგან თავის დასაღწევად, რა ზომები მიიღეთ გადამაჯიშებელ-გამხრწნელად მოგზავნილებისაგან გასათავისუფლებლად? რატომ ყველამ ერთად არ იხუვლეთ და არ იყვირეთ, მტკიცე პროტესტი არ გამოთქვით, გულშეღონებულ-განრისხებულებმა არ მოითხოვეთ ამ დიდი უბედურების მომტანისაგან თავის დახსნა და უკან, თავის ბუნაგში გაბრუნება?

ან თქვენ რა ჭეუხე ხართ და რას ფიქრობთ, იმ ოჯახთა თავაცეპო, სახლში რომ ჩაგისახლეს შეილებისა და ყველა დანარჩენი წევრების დამღუპველი უსქესო-უჯილავო არსება? ნუთუ, კიდევ აპირებთ მათთან ერთად ერთ ჭერქვეშ ყოფნასა და ურთიერთობას?

ადვილი შესაძლებელია, კმაყოფილებიც კი ბრძანდებოდეთ, ინგლისურის უფასო **“მასწავლებლის”** შინ ყოფნითა და მიხეილისგან ბოძებული **“დიდი სიკეთის”** – საკუთარ ნაშიერთა ბაირონის ენაზე **“ამეტყველების”** შანსისა და წყალობის მიძღვნიტ.

**სოსო ჯაშვილიანი, კინორეჟისორი: “ამ ერთმა პედერასტმა, მთელ საქართველოს, იცით რა უთხრა? ის რადაცა, პირში რომ ვიბავუნებდი, თქვენს შეილებს უნდა გაეუკეთოთ. ეს გინდათ მაინცდამაინც?”** (**“ასავალ-დასავალი”**, 2010 წ. №48).

ისევ სააკაშვილ-შაშინისგან სამარცხვინოდ დამფრთხალსა და ენაჩაფარდნილ, უუფლებო მონა-ყმებად გადაქცეულ მშობლებსა და ფლენერს გამოქომბებულ ზუგდიდელ მასწავლებლებს გვინდა ჩავეკითხოთ: არც ღირსეული ქართველი ვაჟკაცის, სოსო ჯაჭვლიანის ამ ვაი და მართლაც მოსალოდნელ უბედურებაზე საოწარკვეთილად ნათქვამმა არ შეგაჯანჯღღარათ? ცოტათი მაინც არ შეშინდით და არ შეგაფიქრიანათ, ნათქვამმა და წარმოდგენილმა? და თუ არა, მაშინ სასწრაფოდ შესანგენებლები და საზოგადოებისგან მოსაკვეთები ყოფილხართ. და ჭეშმარიტი ქართველები ამას უეჭველად აღასრულებენ!

დროულად გონს მოდით დამფრთხალ-დაშინებულ თუ სააკაშვილის მომხრე-მოყვარულ თაგზააბნეულ მშობლებო!

გადაარჩინეთ შეილები გარდაუვალი უბედურებისაგან, დროულად გათავისუფლდით შავნეული მისიით ვინ იცის საიდან წარმოგზავნილი **“ინგლისურის მასწავლებლების-აგან”**.

ქართველი მოსწავლეები ინგლისურს საფუძვლიანად დაეუფლებიან, ინგლისურის საფუძვლიანად მცოდნე, მაღალპროფესიონალი ქართველი მასწავლებლების უანგარო და დაუღალავი შრომით.

დრო ჯერ კიდევ არის კატასტროფის ასაცილებლად! ..ვარდის სურნელით გაუღვნილი რევოლუციის დროინდელი **“განათლების რეფორმა”** მიხეილმა კრახით დაასრულა და სამარცხვინოდ დამარცხდა.

რუსეთთან ომში დამარცხების ორ წლისთავზე წამოწყებულ, თავიდანვე დასამარცხებლად განწირულ **“საგანმანათლებლო რევოლუციას”** გარდაუვალი ფიასკო ელის, სააკაშვილის რეჟიმის დასრულებისთანავე!

ქართველი ბავშვების და საერთოდ ქართველების **“გაინგლისელება”** არ მოხდება, არა!!!

## გეგმვაში კამათი: მეგრული ენა

ენას ყოველთვის სჭირდება მოვლა პატრონობა, დაცვა, შენარჩუნება და განვითარება. განსაკუთრებით კი იმ ენებს, რომელთაც არ გააჩნიათ დამწერლობა. ასეთ ენათა რიცხვს მიეკუთვნება მეგრული ენაც, თუმცა „ისტორიის მამად“ წოდებული პეროდოტე ძე.წად. V საუკუნეში ამბობდა რომ „კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონიათ“. როგორც სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია აცხადებს, არსებობს მეგრული კულტურული-ისტორიული მემკვიდრეობა, როგორც შემაღლებული ნაწილი ზოგად ქართულისა, და სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ყოველთვის შეეცდება ამ მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებას გამთლიანებულ საქართველოში.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ და ზურაბ კვარაცხელიას დიდი მონღომებით გაიმართა მორიგი შეხვედრა ამ ორგანიზაციის ოფისში. ამჯერად ზუგდიდის საზოგადოებრიობის წინაშე პირველად წარსდგა გამომჩენილი ენათმეცნიერი ბატონი მამანტი ძაძაძია, რომელმაც წაკითხა ლექცია თემაზე „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოშობა“. დიდი იყო ინტერესი ამ თემისადმი, ამიტომაც დარბაზი მსურველებს ვერ იტევდა.

წოდებულების რაიონის მკვიდრის მამანტი ძაძაძიასა და მისი ქალიშვილის ცირას

## ნარკომაფიანს უნივერსალური საყვაროს უნივერსალურ მოვალს

ერთობლივი ნაშრომებით ენათმეცნიერების ისტორიაში პირველად იქნა ამოსხნილი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხი – ენის წარმოშობა. სრული საბუთიანობით გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის მოპყრობით და მისი სიტყვაწარმოშობის სრული წარმოჩენით, მათ ეს საკითხი წარმოადგინეს 2007 წელს გამოცემული შეიღწომეულით „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოშობა“, სადაც ყოველმხრივ დასაბუთებულია ზოგადად ენის და კერძოდ მეგრული ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები.

მიუხედავად შერყეული ჯარმთელობისა მამანტი ძაძაძიამ ამომწურავად, საინტერესოდ ისაუბრა მეგრული ენის გარშემო, პასუხი გასცა მრავალ შეკითხვას.

„მეგრული ენა სხვა ქართველურ ენებთან ერთად წარმოადგენს ადამიანურ, ანუ ადამისდროინდელ ენას. ქართველური ტომები ერთიანი წარმოშობისაა და ტომობრივი ენებიც წინააღმდეგ ქართველური ენიდან გენეტიკურად გამომდინარე ენებია. უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული ენა უშუალო გაგრძელებაა კოლხური ენისა, მეგრული ენის სიმდიდრის საფუძველი საგანთა უნივერსალური სამყაროს აურაცხელი მრავალფეროვნება და ამ ენის მიერ მისი აღწერა, სწორედ ამიტომაც ითვლის მეგრული ენის ლექსიკა 102 773

897 სიტყვას, მეგრული ენა წარმოადგენს უნივერსალურ სამყაროს, უნივერსალურ მოდელს“ განუცხადა დამსწრეთ მამანტი ძაძაძიამ. დამსწრენი კი აღფრთოვანებულნი იყვნენ მამანტი ძაძაძიას მიერ აღმოჩენილი ამ ფანტასტიკური ჭეშმარიტებით.

ანალოგიური შეხვედრები მეგრული კულტურული ისტორიული მემკვიდრეობის თაობაზე სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ოფისში რეგულარულად ჩატარდება.

ლადო ძირია  
(ზუგდიდი)



## მეგრული ენა

ბევრი სიმღერა არსებობს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ყველაზე ძვირფასი არის ერთი სიმღერა: „იავნანა“. არ არსებობს დედა, რომელსაც თავისი შვილისათვის არ ემღეროს იგი.

იავნანა რომ არ ყოფილიყო, მაშინ, ალბათ, სიმღერაც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე და პოეზიის მაღლიც მოაკლდებოდა ცხოვრებას, ამბობს ერთი მწერალი.

დედამიწაზე რამდენი ენაცაა, იმდენი იავნანა არსებობს.

ნანაა, ნანა სქუა,  
ნანაში ჭირიმა!  
არკენიშა იშამჯანუ  
ვარდიშ პირი მა.  
გამწოწოწი შქართუნი დო  
აშოვჯინი მა,  
ბუა დო თუთა ქოგურაფუ  
იში ჭირიმა!  
დღასუ ვეშემჭოლიდუა  
გოლგაფირი მა,  
ათე ნანა მარგალური  
სქანი ჭირიმა!  
სქანი კუნთხუ საქორთუო  
ნანაშ ჰამო ბუა,  
სქან ფაცხა დო სქან კეპური  
სქანი ჭირიმა.

ვაჟსტ ნადარია

## ქართულ-მეგრული პოეზიის საღამო „სამეგრელოს“ ოფისში

„ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიზანია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება“ – განაცხადა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერმა, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭაძემ, ამ მოძრაობის ერთ-ერთ ყრილობაზე. ამის დადასტურება იყო, ამას წინათ, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისში ჩატარებული პოეზიის საღამო. ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზურაბ კვარაცხელიას ძალისხმევით ზუგდიდის საზოგადოებრიობის წინაშე პირველად წარსდგა მათი თანაქალაქელი პოეტი და მთარგმნელი გიორგი შენგელია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქართველი და უცხოელი პოეტების ლიტერატურული შედეგების მისეული მეგრული თარგმანები.

გიორგი შენგელიამ გასწია შეჭმარიტად ტიტანური შრომა – 76 წლის ინჟინერ-მშენებელმა ქართულიდან მეგრულ ენაზე თარგმნა გენიალური ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის 100 ლექსი, ომარ ხაიამის 300 რუბაი, შექსპირის 70 სონეტი. ასევე მეგრულიდან ქართულად თარგმნა ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარაძის პოემა „იოიათინი“.

„მეგრული ენის განვითარება და გაგრძელება სჭირდება, უნდა გაჩვენოთ ყველას, განსაკუთრებით მეგრულის არ მცოდნეებს, თუ რა შეუძლია მეგრულს ენას. ადრე ეწერდნენ მხოლოდ საბავშვო ლექსებს, მაგრამ ამ ორი წლის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემში ჩაბუდებული ყოფილა სხვა ნიჭიც, რაღაც ძალა არ მასვენებს ამიტომაც მიყვარს ხელი მთარგმნელობას. ვითავე, პირველი მეთარგმნა ამ გიგანტ შემოქმედთა ნაწარმოებები მეგრულ ენაზე. დღეს, რატომღაც, ყველას პირში წყალი აქვს ჩააუბებული მეგრული ენის მოძულეთა მიმართ, მაგრამ მეგრული ენის პოპულარიზაციის პროცესებს ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ქართულ ენაში 33 ასო ბეგრავა, მეგრულში კი – 38. ამიტომაც, იგი წასაკითხად ძნელია, მაგრამ მოსასმენად არის ძალზე სასიამოვნო“ – აღნიშნა გიორგი შენგელიამ.

დამსწრენი აღფრთოვანებულნი იყვნენ პოეტის გამოსვლით. ისინი აღტაცებას ვერ მალავდნენ, როცა მეგრულ ენაზე მოისმინეს ნაცნობი სტრიქონები, გალაკტიონი რომ მეგრული ყოფილიყო, ზუსტად ასე დაწერდა ლექსებს, ამბობდნენ ისინი.

ვაჟა ფიფია – „გიორგი შენგელიას სახით ზუგდიდს ჰყავს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება. ბოლო პერიოდში იგი დაკავებულია თარგმანებით, რაც არაჩვეულებრივად ოსტატურად გამოსდის. ბატონმა გიორგიმ ბრწყინვალე ქართველი პოეტის, აწვანსვენებული ლაშა გახარაძის მეგრული ლექსები მეგრული ენის არმცოდნეებს გააცნო, ხოლო მის მიერ მეგრულად აქედრებული ომარ ხაიამი შექსპირი, გალაკტიონი და სხვები, მართლაც რომ აღტაცების მომგვრელი გახლდათ. ჩვენ აღმოვჩინეთ პოეზიის უღამაზეს გარემოში...“.

ვასო გერლიანი – „ეს კაცი არის უდავოდ იშვიათი ნიჭითა და შესაძლებლობებით გამორჩეული, ამ სიტყვის არსებითი მნიშვნელობით, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ ექცევა. მოვა დრო, და ის გახდება ძალზე დაფასებული პიროვნება. მის მიერ ქართულიდან მეგრულად გალაკტიონი უფრო სასიამოვნო მოსასმენად გვეჩვენა ვიდრე ორიგინალი“.

მერი ნადარია – „გიორგი შენგელიას შემოქმედებას უნდა გაეცნონ ყველანი, მეგრელებიც და მეგრულის არ მცოდნენიც, მისი ტიტანური საქმიანობა არ უნდა დარჩეს საზოგადოების ყურადღების მიღმა“

ლადო ძირია  
(ზუგდიდი)

## არნო ხიდიკბეგიშვილი: ჩვენ სიყვარული დავკარგეთ...

ბედნიერება ფულში რომ არ არის, ეს ყველაზე კარგად იმათ იციან, ვისაც ბევრი, ძალიან ბევრი ფული აქვს – მილიარდები... „არკადია“ – ოქროს ასოებით აწერია ბადრი პატარკაციშვილის სახახლის კედელს, რომელთანაც ის დაკრძალეს. „არკადი“ ხომ „ნეტარს“ ნიშნავს. „LOVE“ – ფოთლების სიხშირიდან კრთება წარწერა ბიძინა ივანიშვილის სახახლის შესასვლელთან, რაც ინგლისურად „სიყვარულს“ ნიშნავს...

2011 წლის 18 ოქტომბერს, საქართველომ სიყვარული დაკარგა – ღამის პირველის ოც წუთზე, 83 წლის რამაზ ჩხიკვაძის შეყვარებული გულის ძველა შეწყდა.

ლეგენდარული ქართველი მსახიობი ვერ მოესწრო განთიადს და მხოლოდ 57 დღე გაძლო თავისი საყვარელი მეუღლის – ნატაშას გარეშე. ისინი ვერ მოესწრნენ საქართველოს განთიადს (გახსოვთ 2003 წლის ნოემბერში ამ შეყვარებული წყვილის მონაწილეობით გადაღებული მუსიკალური ტელეკელიპი „რა ღამაზად თენდება“?).

ნატაშა ჩხიკვაძე 22 აგვისტოს ჩეხეთში გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე ინტერვიუ მისცა, რომელშიც რუსთაველის თეატრიდან რობერტ სტურუას გაძევებასთან დაკავშირებით თქვა, რომ „გამოჩენილი ოსტატების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება არავის უნდა უკვირდეს, რადგან ერთ ადამიანსაც კი არ დაურეკავს და არ დაინტერესებულა – რით შეიძლება დაეხმარონ რამაზ ჩხიკვაძეს, რომელიც ძალიან ცუდად არის“. ორი დღის შემდეგ – 24 აგვისტოს, დაგვამილი იყო მიმედ დაავადებული საქართველოს სახალხო არტისტის საქართველოში გადმოყვანა...

რამაზ ჩხიკვაძის ყველა როლის ჩამოთვლა ძნელია, მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებთ: ლეანდრო („ესპანელი მღვდელი“), მილორადო („ფილოსოფიის დოქტორი“), მექი დანა („სამგროშიანი ოპერა“), ვიქტორი („ირკუტსკის ისტორია“), ქოსა („ჰინტრაქა“), ყვარყვარე თუთაბერის როლი პოლიკარპე კაკაბაძის პიესაში (რომლისთვისაც 1975 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა), აზდაკის როლი სპექტაკლში „კაკაბასიური ცარცის წრე“ (რომლისთვისაც 1978 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა), რიჩარდ III როლი სპექტაკლში „რიჩარდ III“ (რომლისთვისაც 1981 წელს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა). 60-ზე მეტი როლი კინოში, კომედიურით დაწყებული – შოთა – სიკო დოლიძის „ტრიტინა“, ფილმებში: „ქალაქი ანარა“, „დიუმა კაკასიაში“, „დახლევების აგენტი“, „შეცდომათა კომედია“, „ოფიციალტი ოქროს ლანგრიტი“, კინოდრამებით დამთავრებული – „ნერგები“, „მეფე ლირო“, „სანტა ესპერანსა“, „დაისი“, სერგო ფარაჯანოვის „აშუკი ქერიბი“. მიხეილ თუმანიშვილი და რობერტ სტურუა, სერგო ფარაჯანოვი და თენგიზ აბულაძე, რეჟაზ ჩხეიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გიორგი შენგელია და ალექსანდრე სოკოროვი – გენიალური რეჟისორები ელოდებოდნენ მის გამომჩენილ ტალანტს. ტრავმულია და ფარსი, „ნატვრის ხე“ და „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, ლენინი (პოპოვის „ოჯახი“) და სტალინი („ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“, „გამარჯვება“) – ჩხიკვაძემ ყველგან გამარჯვება მოიპოვა, იმიტომ, რომ ყველგან სიყვარული

სუფევდა: მოყვასის, სამშობლოს მიმართ, და რამაზისა და ნატაშას სიყვარული! სწორედ ამ სიყვარულს უნდა უმაღლესდნენ იღბლიანი თანამედროვენი – მაყურებლები გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საბერძნეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში და, რაღა თქმა უნდა, რუსეთსა და საქართველოში – იმ სპექტაკლებს, რომლებიც, ნატაშას თქმით, „მსოფლიოს იპყრობდნენ, და მსოფლიო მათ ფერხითი იყო! მაშინ, ფაქტობრივად, არავინ იცოდა – რას წარმოადგენს საქართველო, და საქართველოს ყველა მათი სპექტაკლების მეშვეობით ეცნობოდა“.

უი, „შემთხვევით“ გამეპარა დღეს საქართველოში აკრძალული – „ლენინი“, „სტალინი“, „სსრკ სახალხო არტისტი“, „რუსეთი“... ეს როგორ დამემართა! „დღეს უკვე უკვე უნდა შეეკითხო – ინტერვიუს მიცემა რუსულად შეიძლება თუ არა, მაგრამ 54 წლის განმავლობაში, რაც მე საქართველოში გავატარე, ქართველი ხალხისა და ქართული ხელოვნებისთვის მხოლოდ სიკეთეს ვაკეთებდი! ისინი ვერ დაწერენ ხელოვნების ახალ ისტორიას – ვერასოდეს! ისტორია ისტორიად რჩება. თქვენ უზარმაზარი ისტორია შექმენით, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ წაშლის!“ – ესეც ნატაშა ჩხიკვაძის სიტყვებია სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე მიცემული ინტერვიუდან... არა, სიკვდილამდე კი არა, ისტორიაში გადასვლამდე.

P.S. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრები, საქინფორმის, გაზეთ „ილორის“ ჟურნალისტები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებს – ყველას, ვინც რამაზ ჩხიკვაძეს იცნობდა და, მაშასადამე, უყვარდა ის. ჩვენ თანაუგრძნობთ მთელ საქართველოს. ჩვენ ხომ დღეს კიდევ ერთი დიდი სიყვარული დავკარგეთ, რომელიც ასე გვაკლია ამ გაბოროტებულ და სასტიკ სამყაროში, სადაც ძალაუფლებისა და ფულისთვის იბრძვიან.

მაგრამ მათ, ვისაც ბევრი, ძალიან ბევრი ფული აქვთ – მილიარდები – კარგად იციან, რომ ბედნიერება ფულში კი არა, სიყვარულშია. იმიტომ, რომ სიყვარული – ღმერთია.

საქინფორმის მთავარი რედაქტორი  
არნო ხიდიკბეგიშვილი



ბრიზა ონიანი: მთელი საქართველო ჩემს გათავისუფლებას, სააკაშვილი ხელისუფლებას არ ღაღიძვროს!



საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ სტუმარია საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე, ბატონი გრიშა ონიანი.

– ბატონო გრიშა, ამჟამად რას საქმიანობთ?

– ვარ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე. ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არანაირი პოლიტიკური დატვირთვა მას არ გააჩნია. ვიკლავთ სტალინის ცხოვრებას და მის შესახებ გამოსულ მდარე თუ მაღალი ხარისხის სხვადასხვა მასალას.

– ბატონო გრიშა, თქვენ ვაჟაკობით განთქმული სვანეთის შვილი ბრძანდებით. როგორ აღიქვამთ იმას, რასაც ხელისუფლება თუნდაც ქართული ტრადიციის კუთხით ახორციელებს საქართველოში? სვანებს – აფრასიძეებს, ამოუთხარეს და წინაპართა საძეაღე შეურაცხევებს. მერე მათი ძელები გამგებობასთან ტომრით დაფარეს... ქართველი კაცისთვის მსგავსი შეურაცხეობა არცერთ ხელისუფლებას არ მიუყვანებია...

– კომუნისტური პარტიისა და სტალინის ყველაზე დიდი მოძულე ზინოვიევი იყო. ჯერ ამერიკაში ცხოვრობდა და მერე გადმოვიდა საბჭოთა კავშირში. ისიც კი ამბობდა – 30-იანი წლების ინტელიგენციის მსგავსი, რომელმაც დაამხო ფაშისმი, არცერთ ეპოქას არ ახსოვს და ამ თაობას გვერდს ვერავინ აუვლისო. ჩვენც, ალბათ, იმ თაობას ვეკუთვნით, რომელმაც დაანგრია ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი პრინციპები და თავისუფლება. ხანდაზმულობისა და შიშის უქონლობის მიუხედავად, თითქოს არაფერს წარმოვადგინო, მაგრამ მე მაინც შეზღუდული ვარ. ვერ წარმოვიდგენა, როგორ არის თავისუფალი ადამიანი, რომელიც რამეს, თანაც, ხელისუფლებაში წარმოადგენს. ყოველდღიურად ამდენი უარყოფითი ემოციაა – ის მოკლეს, ეს დაიჭირეს, დენის გადასახადი, გაზის გადასახადი... მეც ისეთი დათრგუნული ვარ, რომ ჩემი საქმისთვის ვეღარ ვიცლი. არასდროს არავისი შემშინებია, მიუხედავად იმისა, რომ საშინელი კონტროლი იყო. ჩემ უმცაო იდეა რაღაც ძალა, რომელიც სიმსხვედრეს მმართვედა. ალბათ, იმ დროს ეს კრემლი და მოსკოვი იყო. დანაგრეული იმედინად იყო მაშინ და მხაგრულსაც ჰქონდა იმის შიში, რომ შეიძლება ვინმემ დაწეროს და ამბავი სტალინამდე მივიდეს.

– იმის თქმა გსურთ, რომ მიუხედავად იმისა, რაც სტალინის ეპოქაში ხდებოდა, რასაც გვიყვებიან – დაჭერები, დახვერცხვები და ა.შ. რაღაც სამართლისა და კანონიერების პოვნა მაშინაც კი შეიძლებოდა?

– რასაც ესენი ჰყვებიან, ამის მე არ მჯერა. ვინაიდან ნაწილობრივ ამის მომსწრე მეც ვარ. ორი ბიძა მყავდა – ერთი დასაქორწინებული და მეორე დაუქორწინებული. 36-37 წლების გაგანია რეპრესიები. დაქორწინებული ბიძა სვანეთში დასაქორწინებლის ქორწილშია თამადა. წამოდგა და სრულიად უსწავლელმა, გაუნათლებელმა კაცმა ასეთი სადღეგრძელო თქვა: „გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას“. ახლა, თქვენთან საუბრისას, მეც კი დაფიქრდი, რომელი ამ სიტყვებიდან წერილი? მეორე დღესვე მოადგნენ კაჯმა ასეთი სანდღეგრძელო თქვა: „გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას“. ახლა, თქვენთან საუბრისას, მეც კი დაფიქრდი, რომელი ამ სიტყვებიდან წერილი? მეორე დღესვე მოადგნენ კაჯმა ასეთი სანდღეგრძელო თქვა: „გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას“. ახლა, თქვენთან საუბრისას, მეც კი დაფიქრდი, რომელი ამ სიტყვებიდან წერილი? მეორე დღესვე მოადგნენ კაჯმა ასეთი სანდღეგრძელო თქვა: „გაუმარჯოს რევოლუციურ უმცირესობას და კონტრრევოლუციურ უმრავლესობას“.

– ბატონო გრიშა, ეს მუხლი ხომ ზუსტად შეფერება დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრს. ლახების გარდა, ესენიც ხომ არაფერს აკეთებენ... ორ-ორი წლით ყველა პოლიტიკოსს – პოზიცია-ოპოზიციას, ვინმე თუ მოგვაცილებს, საზოგადოება თავს უკეთ მიხედავდა. ეს არც ჩვენს ხელისუფლებას გახსენებია, თორემ ამაზე კანონმდებლობაში საპროცესო გარიგებით რაიმე მუხლს ნამდვილად შეიტანდნენ...

– ბიძაჩემს ცხრა თვე ჯდომის შემდეგ –

„რეპრესირებული ვარ“ – არასდროს უთქვამს. თუმცა დაუფიქრებლადაც სიტყვებს აღარასდროს ისრულა.

– ბატონო გრიშა, რადგან სტალინის თემას მაინც შეეხებო, მითხარით, ჩვენი ხელისუფლება ღამის 24-საათიან რეჟიმში სტალინის ლანძღვითაა დაკავებული. მეც რეპრესირებული ოჯახიდან ვარ, მაგრამ ესე-დავ, რომ სტალინი ებრძოდა იმას, რა მაგნებლობასაც ეს ხელისუფლება საქართველოს მიმართ სწადის – იმ უეროვნებო კოსმოპოლიტიზმს, რასაც ესენი ნერვავენ. ცნობილია, რომ კომუნისტად ცნობილი სტალინი ნეტარ მატრონასა და ქსენია პეტერბურგელთანაც დადიოდა. პოლიტიკაშიც ბერებმა გააგზავნეს და თავისი ხალხისთვის ეთნიკური იდენტობების მოსპობას არ ცდილობდა. ყველა რესპუბლიკის ეთნოსს თავისი ისტორიული და ტრადიციული იდენტობა ჰქონდა, რელიგიის ჩათვლით. სტალინი იმდენად დიდი ფიგურაა, რა დროც უნდა გავიდე, მისი პიროვნების მიმართ ინტერესი არ ცხრება...

– 1946 წელს სტალინმა ქართველი მსახიობების ერთი ჯგუფი – ხორავა, ბადაშვილი და სხვები, სოხუმიში მიიწვია. სამ დღეს სტუმრობდნენ. კერძო საუბარში უთხრა: „პატარა ერების საქმე წასულია, მაგრამ ჩვენი ვალია, ამ პატარა ერებს, სადამდეც შევძლებთ, არსებობა გაუზნანგრძლიოთ“. ვხედავთ, დღევანდელ მსოფლიოში როგორ ჰქონს ხელისუფლებაში მოსვლა, მოსული კაცი კი – როგორ ინარჩუნებს მას. ძალიან ძნელი დასათმობია ხელისუფლება. თუნდაც, სირიაში – ის მოვიდა, რაღაც გააკეთა და ახლა ვერ თმობს, ეშინია. ურჩევნია, ბრძოლის ველზე მოკლეს, ვიდრე გასაპართლონ სხვა დიქტატორების მსგავსად.

– ბატონო გრიშა, ხელისუფლებისგან სულ კომუნისტების პოლიტიკის ლანძღვა გვესმის. ამათი პოლიტიკა კი არაფრით განსხვავდება ტროცისკის ბოლშევიკების მეთოდებისგან – დაჭერებით, ჩაშვებით, მართლმადიდებლობასთან ბრძოლით... თავისას რატომ არ ხედავენ?

– სახელმწიფოს მართვის ბერკეტები, გინდ კომუნისტები იყვნენ, გინდ – ნაციონალები, ლეიბორისტები, დემოკრატები თუ რესპუბლიკელები – ერთი მექანიზმია. სტალინს ჰქონდა – არის თუ არა რეპრესიები სახელმწიფოს მართვის ერთადერთი მექანიზმი?! „ერთ-ერთი არის, მაგრამ ერთადერთი – არაო“. რა თქმა უნდა, არ გამოვირცხავ, რომ შეცდომები და, თანაც, სერიოზული, დღესაც მოსდით. ამ გაწონასწორებულ სტალინსაც კი ჰქონდა შეცდომები. შეუძლებელია, ადამიანს თავისი მმართველობის დროს შეცდომა არ მოუვიდეს, თუმცა მართალია, გამიზნულად ჩადენილი შეცდომა ბევრად მძიმეა, ვიდრე გაუაზრებლად ჩადენილი. განსხვავებული შეცდომებია და შემთხვევითიც ეს განსხვავებაა. შეცდომა ისაა, თუ შენ საზოგადოებას ნაციონალური ხასიათის – გენის დასაქარგავად შეგნებულად ურეცხავ ტვინს. ამ შემთხვევაში გარკვეულ, შეგნებულ ნაბიჯს დგამ, მაგალით, ვითქვამს, ისეთი მოვლენა, როგორც რობიკოს თეატრიდან გათავისუფლება, შეგნებული შეცდომა არ მგონია – უთხრა, შენ სომეხიო და გაბრაზდა კაცი.

– შენ სომეხიო, არავის უთქვამს, ბატონო გრიშა. ეს ფრაზა გატარებული სახელმწიფო პოლიტიკას მოჰყვა და არა ეროვნული ნიშნით ვინმეს კრიტიკას. ოღონდ ეს მსოფლიო დონის ხელფანება თქვა. რობერტ სტურუას, რომელსაც გემოვნება ნამდვილად მეტი აქვს, სააკაშვილის „მაღალ გემოვნებას“ არ დამეხება. წამოტივტივდა მისი ეროვნული წარმომავლობაც...

– ეს შეიძლება შეცდომად ჩაეთვალოს. – შეცდომაც არის და შეცდომაც. ქართულ თეატრალურ საზოგადოებას, ქართულ თეატრს ამხელა რეჟისორს რომ აკარგავინებ – ეს უკვე შეცდომა კი არა, დანაშაულია, ბატონო გრიშა...

– რა ხდება თურმე იცით? როგორი მუსიკაც უნდა მოასმენინო, როგორი პარმონიაც უნდა შეუქმნა ადამიანს, ყურის ბარბანს საკუთარი სახელისა და გვარის კეთილმოზიდულ ტონში გაგონება სიამოვნებს. როდესაც იმის კლასიფიკაცია გააკეთეს, რა იზიდავს ყველაზე მეტად ადამიანს – ნარკოტიკია ეს, სექსი, ქონება თუ სხვა რამ, პირველ ადგილზე ძალაუფლება აღმოჩნდა. ამიტომ ხელისუფლებაში მყოფთ ეს დაავადება – ძალაუფლების სიყვარული, ნარკოტიკით ყველას ემართება. ადამიანია და შეიძლება იმის მომეწიოს დროს ის ტრავმა მოუვიდეს, რაც სააკაშვილს მოუვიდა.

– რა ტრავმა, ბატონო გრიშა, მთელი საქართველო სააკაშვილის პოლიტიკისგან ტრავმირებული...

– შეიძლება ეს მეც მომივიდეს. მე სვანი ვარ და ვამაუბრ ამით, მაგრამ შენ თუ მეტყვი – შენ სვანო, ამას შეურაცხყოფად მივიღებ.

– რას ბრძანებთ, ბატონო გრიშა, სვანები ვაჟაკი და მეომარი ხალხია...

– იმიტომ, რომ მე ვიცი, რომ მე სვანი ვარ, ხომ?! ამ შემთხვევაში, შენ სვანო – როცა მეუბნები, გამოდის, რომ მამცირებ?! – ვერ დაგეთანხმებით, ბატონო გრიშა. მე დაგესვი შეიითხვა: რატომ ექცევა საკუთარ ხალხს ასე, თუ მისი ხალხია, ხომ უნდა უფარდეს-მეთქი. ბატონმა რობიკომ მიპასუხა – სომეხია და რა გქნათო. მერე გაგვარძელეთ სომეხი დედოფლის, ქართველთა წმინდან შუშანიკზე საუბარი. ბატონმა რობერტმა იკითხა – არის მერე სააკაშვილი საქართველოსთვის შუშანიკი? ანუ ისევე უყვარს, სარწმუნოება და საქართველო, როგორც შუშანიკს უყვარდაო? რა გასაბრაზებელი და საწყენია ის, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად ქართველის ხილვა გვსურდეს?! ამისთვის უნდა მოხსნა სტურუა? სტურუა ამათი „პაღხალიმი“ არ არის. დიდი ხანია, ეძებდნენ მიზეზს და მოუხანეს. თუმცა თავიც მოიტყრეს საერთაშორისო დონეზე.

– მე არც ნაციონალი ვარ და არც მიშას მხარდამხეობი ან მიშაზე გადართული კაცი, მაგრამ სულელები ამდენ ხანს ხელისუფლებას ვერ ინარჩუნებენ. ვერცერთმა იმპერატორმა ამდენ ხანს ვერ შეინარჩუნა... ისეთი ამხედრებული ხალხისგან, როგორიც მიშას ჰყავს, თავი ვერ დაიკავა.

– სააკაშვილს ძალიან კარგი მრჩეველები და პროგრამების დამწერნი ჰყავს... – ძალიან რთული გზაა გასავლელი. რამდენმა კაცმა დააკაუნა ამერიკის კარზე, მათ შორის, შეგარდნაძემაც, მაგრამ ეს კარი ასე ფართოდ ვერ გაიღო. მაგასაც ხომ ნიჭი უნდა?! რამდენმა კაცმა დააკაუნა კრემლის კარზე – შემომიშველიო... არავინ შეუშვეს. ამას ხომ თავისი განათლება და გზა უნდა. ამიტომ იმ აზრს რომ ჩამოვეკიდოთ, რომ ეს ნამდვილი სულელია – სწორი არ იქნება. გამოდის, მთლად სულელიც არ არის, ხომ?! – მთლად არა, სათავისოდ არის... სულელი საკუთარი ოჯახისა და თავის სასარგებლოდ ამხელა ქონებას არ ეპატრონება...

– სულელი არ ყოფილა. სულელი ვერც ქონებას ქმნის და ვერც ხელისუფლებას ინარჩუნებს. მე ერთხელ დაგეწერე და აღარ გამოვაქვეყნე. რომ იხახდნენ – ჩვენ თუ ბევრი გამოვალთ, მიშა წავაო. ისეც გამოვიდით, ასეც გამოვიდით, მაგრამ არ წავიდა. მშობრები ტოვებენ გემს, როცა ხელისუფლება იღუპება. ერთი ბომბის ჩამოვდება პიტლურს კრემლშიც ხომ შეეძლო? არ გამოვიდა კრემლიდან სტალინი. ასევე მიჰყვება ეს კაციც. არ გგონო! მთელი საქართველო რომ გამოვიდეს, სააკაშვილი ხელისუფლებას არ დათმობს.

– ეს ნათელია, მაგრამ სააკაშვილს თქვენ სტალინს აღარებთ. სტალინი მოსკოვთან მომდგარი ბრძოლების დროს პრაქტიკულად ცარიელ ქალაქში დაცვის გარეშე ფეხით დადიოდა ხალხის გასამხნეველად, სააკაშვილმა კი გორში იფორთხა. ანენეს, ამერიკაში მიწისძვრის დროს ობამამ გოლფის თამაში უდრტყენივლად რომ გააგრძელა. ჩვენმა პრეზიდენტმა კი სტუმარიც მიატოვა თვითმფრინავის ხმაზე და გაიქცა...

– მე ძალიან დიდი პატივს ვცემ მიშა ხერგისას. ის ჩემთვის ყველაზე მაგარი კაცია სვანეთში და მას „კლდის ვეფხეც“ უწოდეს. მეც სვანი ვარ, მაგრამ მესამე სართულზე რომ ავიდე და გადმოვიხედო, გადმოვარდნის მეშინია. არა მაქვს მე მაგის ნერვები. ეშინია იმასაც, რომ ბომბი ჩამოვარდეს და არ მოხედეს. ხომ არ ამბობს – არ მეშინიაო?! ბრძოლაში ვერ გაჰყვებ კაცს, ეს რაინდობაში შეიძლება ნაკლი იყოს, მაგრამ თუ ბომბის ეშინია, ამას ყველაზე დიდ დანაშაულად რატომ უთვლიან?... ეშინია და ისიც ადამიანია.

– ქართველს თავის მხედართმთავრად უშიშარი ადამიანები წარმოუდგენია. როდესაც სააკაშვილი ჯავშანთიღვრით უშიშრად შეგარდა პარლამენტში, უკან მოიხედა და მთელი რევოლუციონერები მიჰყვნენ. მაშინ ხომ დააჯერა ხალხი, რომ გულადი და უშიშარია. ამ იმიჯის დაკარგვა უკვე წამებინანა მთავარსარდლისთვის...

– თურმე არ ყოფილა უშიშარი! ვთქვით, დაგამტკიცოთ, რომ არის მშიშარა. ეშინია თავზე გადაფრენილი ბომბის, სიკვდილის... მერე ამის უკან რა არის? ჩვენ გვინდა, რომ ერეკლე მეორე იყოს? არ არის ერეკლე... – გვინდა, ბატონო გრიშა, ქართველს ერეკლე უნდა, გიორგი სააკაძეც და დავით აღმაშენებელიც. ეს ისტორიულად ასე იყო და სტალინიც თავისი უშიშრობისთვის უყვართ დღემდე...

– სააკაშვილი ჩვეულებრივი მოკვდავი კაცია, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის საფუძველი შექმნა...

– ადამიანს ყურს თავისი სახელის გაგონება სიამოვნებსო. მიმინი „მიშა მაგარია“ მისი ყურის სიამოვნებისთვის დაიწერა – იმ „ღუხს“ ხომ არ აძლევს, რომელიც აკლია?

– ახლა ამაზე გეტყვი. ვთქვით, მოხდა ისე, რომ მიშა წავიდა. მას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე უნივერსიტეტში ლექციები იკითხოს. გორში მიშას დაცემას გამირობას რომ უწოდებს, ის კაცი სად უნდა წავიდეს?

– ასეთებიც არიან? – მე ამას შიშს ვუწოდებ. პო, შეეშინდა. რა მერე, მაგრამ ამას ეს წილადური რომ ამართლებს – რომ ეს არის ყველაზე მოხერხებული ფორმაო, ან ხერხეულიძე უკბილოდ რომ იცავს, ტანში ჟრუანტელი მივლის. ესენი სად აპირებენ წასვლას? ამით ვინ მიიღებს?

– ეს ის კატეგორიაა, მომავალ ხელისუფლებაშიც რომ გამოხახავს მისასვლელს...

– ზვიადის დროს დაიღვარა სისხლი. მაშინ ეპოქა იყო ისეთი. მთელი საბჭოთა სივრცე ტორტმანებდა და სისხლი იღვრებოდა... და აქაც დაიღვარა. ასე აღარ განმეორდება. როცა მოვიდა ან როცა შეგარდნაძემ გადააბარა ხელისუფლება, სისხლი არ დაღვრილა. ამ შემთხვევაში, მე არ მგონია და დემოტოპი არ ქნას, ეს ხელისუფლება ასე ვერ წავა ქვეყნიდან. არ შეიძლება, აქ სისხლი რომ არ დაიღვაროს, იმიტომ, რომ როდესაც გამწარებულ ადამიანს თავისუფლება მიეცემა, ის აუცილებლად ხელს იღებს. პირდაპირობა, ადამიანობა და ჰუმანურობა სახელმწიფოს მართვიდან ამოღებული ტერმინებია. ეს არც სტალინს ჰქონდა, არც ჩერჩილს და არც ამას აქვს. მაგრამ აი, ფანჯრების გამოცვლაზე რომ ვაკრიტიკებთ – ფასადებზე ფანჯრების გამოცვლა კომუნისტების დროსაც იკრძალებოდა. ასეთ წერილმანზე რომ ვაკრიტიკებთ, რაც გასაკრიტიკებელია, იმაზე ყურს აღარ დაგვივლებს. ეს გზებიც... რაც იყო, იმას ხომ სჯობია? კარგი, ამითყარა – კიდევ დაავტებენ.

– ბატონო გრიშა, თქვენ სააკაშვილის დიდი მოტყუარადად ყოფილხართ და გეტყობათ, ძალიან მოგწონთ...

– არა, მე რაც არ მომწონს, იმაზე ვიტყვი და უფრო დამიჯერებს ხალხი, ვიდრე ყველაფერზე ვიძახო – არც ეს მომწონს და არც – ის-მეთქი. რასაც არ ეშველება, იმის კრიტიკა იაფუფასოა. შევიდეთ რომ დამომახინჯეს, შევიდეთ შევიდეს რომ არასწორად აღმიზრდიან, ქართველობას რომ მისპობენ, ჩემს ცნობიერებაში რომ ერევიან – ამაზეა სასაუბრო.

– ბატონო გრიშა, ინგლისური და კომპიუტერი თუ იცით და ტიტრებიან ფილმებს თუ უყურებთ?

– (იცინის) რა კომპიუტერი... არა, გაგებაში არ ვარ. ვერცერთი ტიტრი ბოლომდე ვერ წავიკითხე და იმის გარკვევაში ვარ, იქ რა ხდება. მე ინგლისურს ვერ ვისწავლი, მაგრამ ჩემი ქართულით მე რა დავაშავე? ისე, რომ ზრუნავს ჩემზე ამერიკა, რომ ინგლისური ვისწავლო, ადრე დაგმარხო მეკდარი, არ ვიდრე და ტიტრებში ვიარო – იქვე, იმ ლათინურ ამერიკაში რომ ჰყავთ ხალხი, ასეთი გულდამწვრები მათზე რატომ არ არიან? ეს კულტურა იქ რატომ არ შეაქვთ? სამიათასწლოვანი ერი ვართ. ჩვენ რატომ გვასწავლიან კულტურას?

– იმიტომ, რომ თავად არ აქვს და არ უნდა, მასზე დიდი კულტურა ჩვენ არ გვქონდეს.

– რასაც სააკაშვილი აკეთებს, გგონია, მაგან მოიფიქრა? ეს კარგი შემსრულებელია. აი, ზრუნოვით საუკეთესო შემსრულებელი იყო. სტალინის ნათქვამს ზედმოწვევით ასრულებდა, მაგრამ თავად რომ მოვიდა ხელისუფლებაში, დამოუკიდებლად აზროვნების უნარი არ ჰქონდა და არ იფარგა. სანამდეც მის პატრონს უნდა, რომ ჰყავდეს, მანამდე სააკაშვილი არსადაც არ წავა.

– ბატონო გრიშა, ისე, სააკაშვილიც ხრუშჩოვით ექცევა ხალხს. როგორც ტროცკის გადასწვდა თავის დროზე სტალინი, ამათაც ტროცკივით იმდენი ცუდი გააკეთეს, რომ სადაც უნდა წავიდნენ, მაინც იპოვნია. ჩვენი ახალგაზრდები ამათ მოსურვილებზე ურაცსა და ავღანეთში ამერიკის გულის მოსაგებად რატომ უნდა იღუპებოდნენ?


– ამ საკითხთან დაკავშირებით, მეც ჩემი მოსაზრება მაქვს. მეორე სამამულო ომში დაღუპულ მეზობლებს აფურთხებენ და ღამის მოღალატეებად გამოაცხადონ, იმიტომ, რომ თითქმის სტალინს ედგნენ გვერდში.

– სტალინს – რატომ, ყველა თავის სამშობლოს იცავდა გერმანელი ფაშისტებისგან...

– ჩემი ძმა და მამაჩემის მძისშვილები ომში გაიწვიეს. ერთი უკრაინაში პირველხავე თავდასხმაზე დაიღუპა. მეორე ტყვედ ჩავარდა და გაუბედურდა. რატომ მიგინებენ იმას, ვინც თავის ბუნებრივ მთელი ევროპისა და ექვსი მილიონი ებრაელის მკვლელობა გაანადგურა? (გულისხმობს სტალინს, – ბ. ა.).

– იმიტომ, ბატონო გრიშა, რომ სტალინმა ჯერ ტროცკის დროს და შემდეგ ჰიტლერის

გაგრძელება მე-8 გვ.



# ბერი XX საუკუნის საუბითი პენიტი

## თარგმანი როლანდ ჯალალისი

თანამდებობებზე, და ა.შ. და ა.შ.

რა შეიძლება ითქვას ამაზე?  
ის, რომ სსრკ სპეცსამსახურის გამოცდილ თანამშრომელს პარტიულმა ჩინოვნიკმა თვალი აუხილა 40-იანი წლების დასასრულს, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ არავითარ ინტრიგებს ადგილი არ ჰქონია... ფონდ **“დემოკრატიის”** კრებულში **“გიორგი ჟუგოვი. დოკუმენტები”** მოყვანილია, თითქოსდა მარშალის ჩანაწერები, რომელიც გაკეთებულია 1963-1964 წლებში და რომელიც რუსეთის სახელმწიფო არქივს გადაეცა 1995 (!) წელს. ამ ჩანაწერების ტექსტები, განსაკუთრებით ლავრენტი ბერიას დაპატიმრების კუთხით, ჩემში ძალიან დიდი ეჭვს იწვევს. მაგრამ მასში არის ყოველმხრივ საინტერესო ფრაზა: **“მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ ვიცოდით იმ ბოროტმოქმედებათა მასშტაბების თაობაზე, რაც სტალინმა 1937-1938 წლებში თავს მოახვია საბჭოთა ხალხს...”**

ეს როგორ უნდა გავიგოთ? თუ ვინმე მე ჭრილობას მომაყენებს, ამის თაობაზე უპირველესად მე უნდა ვიცოდე. მაგრამ რას წარმოადგენს ის საშინელი ბოროტება, რომელიც 1937 წელს მოახდინა სტალინმა ხალხს, თუ ამის თაობაზე ხალხმა შეიტყო ხრუშჩოვისა და მისი ხელის მწერლებისაგან მხოლოდ 1956 წელს? მაშინ, იქნებ სტალინმა საშინელი ბოროტება მოახდინა არა ხალხს, არამედ ხალხის მტრებს, როგორც ეს გაცხადებული იყო ოცდაათიან წლებში? ხალხს ეს სობოროტე არ შეუძენია, მაგრამ ხალხის მტრებმა იგი კარგად დაიხსომეს და ვერ დაივიწყეს და სტალინსაც არ აპატიებს...

ამდენად, უცნაურად გამოიყურება გამობრძმავი ჩემთვის სუდოპლატოვის მოთქმაც იმის თაობაზე, რომ მან მხოლოდ ორმოციანი წლების დასასრულს, **“თვლის ახელის”** შემდეგ დაინახა კრემლში დატრიალებული ინტრიგები. იქნებ ისინი არ იყვნენ ისეთი მასშტაბური და ყოვლისმომცველი, როგორაც ამის თაობაზე სუდოპლატოვს მოუთხრო ანა ცუკანოვამ? მით უმეტეს, თუ ამ ქალბატონს სუდოპლატოვისთვის **“ინტრიგებზე”** საერთოდ არაფერი მოუყოლია...

ახლა კი გადავხედოთ სტალინის მიერ სსრკ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობებზე ხალხის მუდმივად გადაადგილების სტატისტიკას. ჰქონდა კი ასეთ ფაქტს, საერთოდ, ადგილი? იგივე ვიქტორ აბაკუშვილი 1943 წლიდან 1951 წლამდე ერთდროულად თანამდებობაზე მუშაობდა. კრუგლოვიც, ფაქტიურად ერთ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1943 წლიდან 1953 წლამდე. ივანე მასლენნიკოვი სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა 1948-დან 1954 წლამდე. ვასილი რიასნოი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე 1946 წლიდან 1953 წლამდე. ივანე სეროვი იყო სსრკ მინისტრის პირველი მოადგილე 1947 წლიდან 10 წლის განმავლობაში. ნიკოლოზ სტახანოვი სსსრკ-ის ხალხის მოთხოვნილობის საფუძველზე 1942 წლიდან 1952 წლამდე. ლავრენტი ცხანაძე ბელარუსის უშიშროების საქმეთა სახალხო კომისარი-მინისტრი იყო 1943-დან 1951 წლამდე, ვასილი ჩერნიშოვი 1937 წლიდან 1952 წლამდე იყო სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (გარდაიცვალა 1952 წელს).

როგორც ვხედავთ, თუნდაც ამ ხალხთან დაკავშირებით, არც ანა ცუკანოვას, არც სუდოპლატოვს და არც სხვა პოლიტიკურ-ტექტორებს ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნდა. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი მტკიცებულებები თითოდასაა გამოწვეული.

მაგრამ, ნიშნავს კი ეს, რომ სსრკ ომის შემდგომ ხელმძღვანელობაში საერთოდ არ იყო ინტრიგები? ამის გასარკვევად საჭიროა გვეჩვენოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ნამდვილი კოლექტიური იერსახე. ამიტომ, დავაზუსტოთ, თუ ვინ შედიოდა ამ კოლექტივში.

1945 წლის 7 ივლისს სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იოსებ სტალინმა კრემლში სადილი გამართა **“მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩიობალსანის საპატივცემულოდ”**. საბჭოთა მხრიდან სადილს ესწრებოდნენ გ.მ. მოლოტოვი, ლ.მ. კაგანოვი, ლ.პ. ბერია, გ.მ. მალენკოვი, ნ.ა. ვოზნესენსკი, ნ.ა. ბულგანინი და შემდეგ: ბ.მ. მერკულოვი, ა.ი.

ვიშინსკი, ლოხოვსკი და სხვები...

1945 წლის 13 ივლისს სტალინი მართავს სადილს ჩინეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარის, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სუნ ცი-ვენის საპატივცემულოდ.

საბჭოთა მხრიდან სადილს ესწრებოდნენ გ.მ. მოლოტოვი, ლ.მ. კაგანოვი, ა.ი. მიქოიანი, ლ.პ. ბერია, გ.მ. მალენკოვი, ნ.ა. ვოზნესენსკი, ნ.ა. ბულგანინი, ა.ნ. კოსიგინი და შემდეგ: ბ.მ. მერკულოვი, ვ.გ. დეკანოზოვი, ლოხოვსკი და სხვები...

1945 წლის 13 აგვისტოს სტალინმა სადილი გამართა არმიის გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის პარტიკულარულად, რომელსაც საბჭოთა მხრიდან ესწრებოდნენ გ.მ. მოლოტოვი, კ.ე. ვოროშილოვი, ა.ი. მიქოიანი, ლ.პ. ბერია, გ.მ. მალენკოვი, ნ.ა. ვოზნესენსკი, მარშალი გ.კ. ჟუგოვი, მარშალი ს.მ. ბუდიონი, ნ.ა. ბულგანინი და შემდეგ: ა.ი. ვიშინსკი, ა.ი. შახურინი, დ.ფ. უსტინოვი, სხვა მარშლები და გენერლები...

უკვე აქედან ჩანს, რომ მთავარი ომის შემდგომი სახელისუფლებო **“სავანე”** ასე გამოიყურება: მოლოტოვი (დაბ. 1890 წელს, პარტიული 1906 წლიდან), კაგანოვი (დაბ. 1893 წელს, პარტიული 1906 წლიდან), მიქოიანი (დაბ. 1895 წელს, პარტიული 1915 წლიდან), ბერია (დაბ. 1899 წელს, პარტიული 1917 წლიდან), მალენკოვი (დაბ. 1901 წელს, პარტიული 1920 წლიდან), ვოზნესენსკი (დაბ. 1903 წელს, პარტიული 1919 წლიდან), ბულგანინი (დაბ. 1895 წელს, პარტიული 1917 წლიდან)...

ხრუშჩოვი (დაბ. 1894 წელს, პარტიული 1918 წლიდან) ამ **“სავანეში”** არ ჩანს, ისევე, როგორც ჟდანოვი (დაბ. 1896 წელს, პარტიული 1915 წლიდან).

მაგრამ, ხრუშჩოვი, ამ დროს, კიევი იმყოფება, ჟდანოვი კი – ლენინგრადში, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი პოლიტიკურად სრულფასოვანი წევრები არიან (ბერია და მალენკოვი პოლიტიკურად წევრები გახდნენ მხოლოდ 1946 წლის 18 მარტს).

მაინც, რა აერთიანებდა ამ ხალხს? უპირველესად, სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვის, ვოროშილოვის, ჟდანოვის და თუნდაც მიქოიანის? მათ უპირველესად აერთიანებდა რევოლუციამდელი პარტიული სტაჟი. მათი ახალგაზრდობის წლები, როცა ხდება პიროვნების სულიერი ფორმირება, რომელიც მიმდინარეობდა მხოლოდ იდეის ნიშნით. როცა ისინი კომუნისტურ პარტიაში შედიდნენ, ეს ნიშნავდა არა პრივილეგიებს, არამედ საშიშროებას, გადასახლება, ციხეებს, იატაკქვეშეთს... ასეთ რთულ პირობებში ყალიბდებიან არა ინტრიგანები, არამედ პროფესიონალი რევოლუციონერები.

ბერია, მალენკოვი, ჟდანოვი, ბულგანინი და ვოზნესენსკი მაშინ მოვიდნენ პარტიაში, როცა ინტრიგებისათვის არავის ეცალა. მაგრამ ვოზნესენსკი და მალენკოვი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) ისე მიიყვანდნენ კარიერის სიმაღლეებისაკენ, რომ რეალურ საქმესთან შეხება არ ჰქონიათ. და **“ინტრიგის”** სიახლეები აპარატში მათთვის შედარებით უფრო ხელმისაწვდომი გახლდათ, ვიდრე სახალხო კომისარი-მინისტრები. მე უკვე ვთქვი, რომ სტალინის საბჭოთა კავშირში უმაღლესი თანამდებობა უპირველესად ნიშნავდა დიდ პასუხისმგებლობას და მძიმე შრომას. მაგრამ, ეს უშუალოდ ეხებოდათ იმ ადამიანებს, ვინც კონკრეტულ მატერიალურ დოვლათს ქმნიდა, აპარატის მუშაკებს კი...

მკითხველი ალბათ მიაქცევდა ყურადღებას, რომ მე არაფერი მითქვამს ხრუშჩოვზე, მაგრამ იგი სტალინის პერიოდის საბჭოთა კავშირში იყო უნიკალური ფიგურა, სახეებით განსაკუთრებული. სწორედ იგი გახლდათ დაბადებიდან ინტრიგანი და პირმოთენე და მის თანამედროვეებს შორის სწორედ იგი იქცა საბჭოთა კავშირის მთავარ მესაფლავედ.

მაგრამ ორმოციან წლებიდან ამ დრომდე დიდი გზა იყო გასავლელი. ქვეყანა ვითარდებოდა, გაიმარჯვა დიდ სამამულო ომში და მალე ჩადგა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიგში. ყველა სფეროში იცვლებოდა ვითარება. ხელისუფლება ყოველი სიკეთისა და ბედნიერების მომავლისადმი რწმენის სიმბოლოდ იყო ქცეული. თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც.

თანაც, ომის შემდეგ, სტალინის გარემოცვის საყოფაცხოვრებო პირობები

მნიშვნელოვნად შეიცვალა. არა, დაძაბულობა და მძიმე სამუშაოები ამ ყოფიდან არ გამქრალა, მაგრამ ცხოვრება გახდა უფრო მშვიდი, გვეგმაზომიერი. ამასთან სტალინს უკვე საგრძნობლად მოემატა ასაკი.

როცა ადამიანს სამუშაო თავსაყრელად აქვს, მას ინტრიგებისათვის არ სცალია. რამდენადაც მცირეა სამუშაო, იმდენად დიდია ინტრიგების წარმოქმნის ალბათობა. ამიტომ, სტალინის უახლოეს გარემოცვაშიც კი, 50-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა ინტრიგების ემბრიონი, რომელმაც სტალინის სიკვდილის შემდეგ კატასტროფული მასშტაბები მიიღო.

უცხოელი სტუმრების პირველი დიდი მიღება მოლოტოვმა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოაწყო 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა წითელი არმიის დაარსების 27-ე წლისთავთან დაკავშირებით. სტალინს, ბერიას და სტალინის თანამებრძოლებს მაშინ მიღებებისათვის არ სცხელოდათ. ბერია, **“სავანის”** სხვა წევრების ჩათვლით, სადილზეც კი არ მისულა მაშინაც კი, როცა სტალინმა 1945 წლის 28 მარტს მიიღო ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეში და პირველად მხოლოდ 1945 წლის 11 აპრილს გამოჩნდა იოსებ ბოროტი ტიტოს მიღებაზე. მაგრამ, ბერიას სრულიად არ ეპიტანავებოდა ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზეც მეორე პლანზე იმყოფებოდა.

მაგრამ, როგორ იქცეოდნენ ქვეყნის სათავეში მყოფი მისი კოლეგები? ჯერ კიდევ 1944 წელს, მათ, რომლებიც მუდამ ატარებდნენ სამხედრო ან ნახევრადსამხედრო ტანსაცმელს, ალბათ ძნელად თუ წარმოედგინათ, რომ წამოსკუპებული იქნებოდნენ განუწყვეტლად გამართულ სახეობა სადილებსა, მოღებებსა და აღლუმებზე. სადილებზე, რომლებსაც ამშვენებდა ოქრო, ბროლი, სასმელები, დელიკატესები, თაიგულები, ძვირფასი კოსტუმები, ბრჭყეილა სამხრები...

ახლა კი...  
ახლა კი შეიცვალა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ იმ ხალხის მდგომარეობაც, რომლებიც სახელმწიფოს მართვის სათავეებთან დგანან. ასევე მათი, ვინც ფუტკარივით ახვევიათ ქვეყნის მმართველ ძალებს! ეს მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ხდებოდა ნაკლებ საპასუხისმგებლო და მეტად კომფორტული – განსაკუთრებით მათთვის ვინც ხელიდან ხელში გადასცემდა განკარგულებებს, მაგრამ თავად არ მუშაობდა მის განხორციელებაზე.

მეფეს სათამაშო ფონს უქმნის გარემოცვა... მაგრამ ვინ **“უქმნიდა”** სათამაშო ფონს უმძლავრესი სახელმწიფოს მმართველ ძალას? ის შერე ხომ არა, რომლებიც ოფიციალურ ინფორმაციებში მიიხსენიებოდნენ **“მათ თანამხელედ პირებად”**? **“...ასევე მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები”, “...სსრკ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სახალხო კომისარიატთა პასუხისმგებელი მუშაკები”, რომ აღარაფერი ვთქვათ “სკკპ (ბ) და სახკომსაბჭოს (მინისტრთა საბჭოს) სხვა პასუხისმგებელ მუშაკებზე...”**

გარდა ამისა, რომ იყვნენ ნაციონალურ კომპარტიათა ორგანოები და სახალხო კომისარიატები, სამინისტროები და მათი აპარატები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ცენტრალურ აპარატებთან!

ეს გახლდათ ადამიანების წრე, რომლებიც დიდი სამამულო ომის გაჭირვების წლებში ნახევრადსამხედრო კიტელებში გამოწყობილები სრულიად არ უფრთხოდნენ რეპრესიების საფრთხეს და ახერხებდნენ, რომ ჭკვიანურად გათვლილი ნაბიჯებით **“გარსებათ”** საკუთარი თავისა და ოჯახის საკეთილდღეოდ. ისინი მფლანგველად იყვნენ დაბადებული და, ცბიერებით გამორჩეულები, ახერხებდნენ ეცხოვრათ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ მფლანგველად აღიარებული საფრანგეთის მეფის ლუდოვიკი XY-ის პრინციპით: **“ჩემს მერე თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩენილა!”**

ასე რომ, სწორედ ამ პერიოდიდან ხომ არ იღებს სათავეს ინტრიგა, რომელიც მოგვიანებით ნოემბერის ცხოვრების წესად იქცა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# სიყვარულის ნოსტალგია

– გავიგე, რომ გინახებოდა.  
 – მერე რისთვის?  
 – ჩემი მისამართი ხომ არ მიეცემა?  
 – ჯერ ერთი, არ ვიცოდი ვისთან წავიყვანე, რომ მცოდნოდა, მაინც არ მიეცემოდა. აქ რომ მოეთრიე, რომ შეგხვდეს, არ გეშინია?  
 – კარგა ხანს ვერ შეგხვდებოდა.  
 – რა იცი?  
 – გააბრუნეს.  
 – რატომ?  
 – გუშინ დასახლებაში ჩხუბი ამტყდარა, კაცი დაუჭრიათ, ისიც იქ ყოფილა, პოლიცია, გააბრუნეს... შენთან იმითომ მოვედი, რომ დაგეხმარებოდა.  
 – რა გინდა?  
 – გამომეყვი.  
 – სად?  
 – წერილი მინდა გადავცე.  
 – ზეკს?  
 – არა, დასახლების მეთვალყურეს.  
 – ვერ დაგეხმარები, შევეშვი ამ უაზრო კურიერობას, პერაშკებს ვაცხოვრებ და ვყიდი, ამით ვირჩენ თავს. ერთი ბოთლი სამაგონისა და სილიოტის გამო არ დირს საფრთხეში თავის ჩაგდება, მითუმეტეს ამ სიბერის დროს.  
 ქალი გაბრაზდა და კარი გაიხურა.  
 – ხელა შენ? კიდევ უკმაყოფილოა ეს მაიმუნი, სამი წელი ჩემთან ცხოვრობდა, მე რომ არ ყოფილიყავი შიმშილით სული გასძვრებოდა, ნაბიჯვარ ვუზრდიდი, თვითონ კი დაბოზაობდა, მერე ბავშვი პრიუტში\* ჩააბარა. ეს დედაა? ამას უნდა ჰყავდეს შვილი? – თვალები აუცრემლდა.  
 ერთხანს ისევ სიჩუმე, ბოლოს ვანია ადგა, არაფერი გადაჰკრა, ბოლიში მოიხადა და წავიდა.  
 ტანია მთელი ღამე არ ეძინა, თვალწინ სულ შეილი ელანდებოდა... დედა ბები, მამა, მკითხავი ბოში ქალი... ადგა და პატარა სკამზე ჩამოჯდა. ფიქრებმა წაიღო: ბოში ქალმა ყველაფერი ზუსტად თქვა, ნამდვილი ჯადოქარი ყოფილა, მაგრამ ისიც ხომ თქვა, რომ ბოლოს... არ ვიცი, როდის? ისე შევეჩვიე ტანჯვას, რომ არა მგონია ოდესმე ბედნიერი ვიქნები... ვიქნები? ოთხი წლის შემდეგ... ეგ... მაშინ ჩემი ბიჭი რამხელა იქნება?... მშობლებს ვერ იცნობს, აბა როგორ უნდა იცნოს... როგორ მომეზურდა ყველაფერი. ღმერთო, დამიფარე... წერილს დავწერ, იქნებ მოხერხდეს წერილის გადაცემა. დავწერ, რომ შეილი გეყავს, სურათსაც გაეუგზავნი... რა ნაღვლიანი სახე ჰქონდა, რა სევდიანი თვალები, შორს იყო ჩემგან, მაგრამ მაინც ვხვდებოდა... არ მელოდებოდა... იმ დღიდან უფრო მაგრა შევეყვარებოდა... როგორი ხმა ჰქონდა? გეგონებოდა დატრიალი ირემი ბღაისოს... ო, ღმერთო!...  
 – ტანია! – მოესმა მანიას ხმა.  
 – რა იყო, მანია დეიდა?  
 – რას აკეთებ?  
 – არაფერს.  
 – რატომ არ გძინავს?  
 – ვფიქრობ, წერილი დავუწერო თუ არა.  
 – დაუწერე, ყველაფერი დაუწერე.  
 ტანიამ ლამპარი აანთო და წერას შეუდგა.  
 მანია წამოდგა.  
 – მთავარია როგორმე მოვახერხოთ წერილის გადაცემა, გაიგოს შენი ამბავი, როგორ მოუთმენლად ელოდები და გიყვარს, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შენთვისაც და მისთვისაც, ოთხი წელი გაივლის.  
 – ბავშვის სურათიც მინდა ჩაგდო.  
 – ჩადე, მარტო ერთი სურათი გაქვს?  
 – არა, კიდევ მაქვს.  
 – ხომ შეიძლება ბაღრაგებმა წავგართვან და დახიონ.  
 – ვიცი, გავითვალისწინე.  
 – ვანია რაც გითხრა კარგად დაიმახსოვრე, ჩვენს ყოველ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს.  
 – ვიცი, მანია დეიდა.  
 მესამე დღეს დატვირთული გავიდნენ გზის გასაყართან, მანიას იმდენი ღვეზელი გამოუცხო, რომ მთელ როტას ყოფოდა. ისევ ავტომატიანი ბაღრაგები ძაღლებით.

ღრიალი და ყეფა.  
 მანიამ ჯარისკაცებს ღვეზელები ჩამოურიგა. ერთ-ერთი განზე გაიხმო.  
 – შენი ხნის შეილი მყავს, ისიც ჯარში მსახურობს, შორეულ აღმოსავლეთში, სხვათა შორის ისიც შინაგან ჯარშია, ისიც პატიმრებს ყარაულობს, ასე იწერება, ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც ვცდილობ კარგად ვიმსახურო. თქვენც გეტყობათ, რომ კარგად მსახურობთ... სადაური ხარ, შეილო?  
 – ტიუმენიდან.  
 – თუ გინდა სამაგონს დაგისხამ, ცივა, გადაჰკარი.  
 – არა, არ შეიძლება.  
 – პერაშკებს რამდენსაც გინდა მოგიტან, თბილ წინდას მოგიტყუო.  
 – რა გინდა, დეიდა?  
 – როგორ გეტყობა, რომ კარგი ბიჭი ხარ და კარგ ოჯახში აღზრდილი.  
 – მალე თქვი, სანამ უფროსი მოვა, ჩვენ სამსახურის დროს მოსახლეობასთან ურთიერთობის უფლება არა გვაქვს.  
 – იცი, შეილო, წერილი მინდა გადავცე, ჯარისკაცი წამით ჩაფიქრდა.  
 – არ შეიძლება დეიდა.  
 – ვიცი, რომ არ შეიძლება, მაგრამ...  
 – არავითარი მაგრამ, უფროსმა რომ გაიგოს, მომხდება, პაუზაჰკეში ჩამსვამენ, იქ კი ძალიან ცუდად გვექცევიან, სხვა ნაწილების ჯარისკაცებთან ერთად ვიქნებით, ჩვენ არავის ვუყვარვართ, ამიტომ ყველანაირად ვცდილობთ იქ არ მოვხვდეთ. პაუზაჰკეს კიდევ ვინ ჩივის, შეიძლება გამასამართლონ და მეც ზეკი გავხდეთ.  
 – უფროსი განა ყოველთვის მოდის?  
 – შეიძლება მოვიდეს, შეიძლება არა... თუ ვინმემ დაინახა, რაციით გადასცემენ და მერე რა მომივა...  
 – თბილ წინდას მოგიტან.  
 ჯარისკაცი ცოტა ხნით ისევ ჩაფიქრდა და თავი ჩაიქნია.  
 – კარგი, დეიდა, ოღონდ ქვა ჩადეთ და ცოტა მოშორებით დადგით, გორაკიდან ვერ მიაწვდნენ, აქეთ, ბუჩქთან, მე ჩემი ძაღლით დაგვარაფრო, ვითომ ვერ დაგინახეთ... წადით, მოდიან!  
 მანიამ მაღლობა უთხრა და ტანიასკენ გაიქცა, რომელიც გორაკიდან პატიმართა გზას გასცქეროდა.  
 – ტანია, აქეთ გამოდი! – ხელით ბუჩქისკენ მიანიშნა.  
 ტანია გამოიქცა. ძაღლების ყეფა. ბაღრაგთა ღრიალი.  
 – წამოვიდა!  
 – წინ დაიჭირე!  
 – გზა გადაკეტეთ!  
 – შემოუარეთ!  
 შორიდან სამხედრო მანქანა გამოჩნდა. პატიმრებიც გამოჩნდნენ.  
 ისევ სიმაღლა:  
 – Где же ты моя добрая мама, грустная невеста одинокая, в каждую ночь мне снится колыбельная, мама всегда печальная была.  
 მამუკა ტანიას თვალი მოჰკრა თუ არა, ხელი აუწია. ტანიამ წერილი გადაუგდო. ამისობაში ბაღრაგმა ჰაერში გაისროლა. სროლას ყეფა და ღრიალი მოჰყვა.  
 წერილი მავრთულხლართს იქით კი გადავარდა, მაგრამ სანამ მას რომელიმე პატიმარი აიღებდა, ძაღლმა დაასწრო.  
 სამხედრო მანქანიდან ოფიცრები გადმოხტნენ.  
 – აიყვანეთ! – ბრძანა ერთ-ერთმა.  
 ბაღრაგებმა ქალები ფეხქვეშ გაიგდეს და ზურგში კონდახები ურტყეს.  
 – ახ ვი სუკი!  
 – მოგკლავთ, თქვენი!  
 ტანიას გასისხლიანებული სახე. პატიმრები აღრიალდნენ:  
 – გაანებეთ თავი! თქვე ძაღლებო!  
 – მენტი განდონი!\*  
 – სუკი!  
 – ბლოადი!  
 – პიღარაზი!  
 რამდენიმე პატიმარმა მავრთულხლართებიდან გამოძრომაც სცადა.  
 ჰაერში სროლა.  
 ღრიალი.  
 ყეფა.

ერთ-ერთი ძაღლი ფეხში ეცა მამუკას. ტანია და მანია წოდნენ და კოდნენ...  
 – გაუშვით ხელი!  
 – ნაძირალებო!  
 სირენა.  
 მამუკა წინ გაუძღვა პატიმრებს, ის ისაა აკრძალული ზონიდან უნდა გამოსულიყვნენ, რომ ისევ გაისმა სროლა, ამჯერად არა ჰაერში... რამდენიმე პატიმარი დაეცა, მათ შორის მამუკაც.  
 ცოტა ხანში ბაღრაგთა მთელი ჯარი გაჩნდა.  
 პატიმრები ცემა-ტყეპით სპეცდანიშნულების მანქანებში ჩაყარეს.  
 სულ მალე იქაურობა დაიცალა.  
 ტანია ძალით ჩასვეს მანქანაში.  
 – გამანებეთ თავი, რა გინდათ ჩემგან, მე არაფერი დამიშავებია!  
 – ვის გადაუგდე წერილი შე სუკავ! – შეუბღვირა ჩინოსანმა ბაღრაგმა.  
 – ჩემს ქმარს გადავუგდე, რომელიც უდანაშაულოდ იხდის სასჯელს.  
 – კი, როგორ არა, ყველანი ანგელოზები არიან... უდანაშაულოს არავინ იჭერს, სად დააპატიმრეს შენი ქმარი?  
 – საქართველოში.  
 – მითუმეტეს, ეტაპით ჩამოუყვანიათ, რეციდივისტი იქნება!  
 – რეციდივისტი კი არა, სტუდენტი, დიდი ხანი არ არის, რაც ჯარიდან ჩამოვიდა.  
 მანქანა ორსართულიანი მოუამული შენობის წინ გაჩერდა.  
 მორიგე ჯარისკაცმა ჭიშკარი გააღო. ჩინოსანი ბაღრაგი შენობაში შევიდა, ცოტა ხანში გამოვიდა და ტანიას ხელით ანიშნა მანქანიდან გადმოსულიყო.  
 უფროსის კაბინეტში შეიყვანეს.  
 მაღალმა ჭარმაგმა, სასტიკი გარეგნობის მამაკაცმა ბაღრაგები დაითხოვა და ტანიას კულტურულად მიმართა:  
 – დაბრძანდით.  
 – ტანია სკამზე ნელა დაეშვა.  
 ერთხანს დუმილის შემდეგ ჰკითხა:  
 – ვინ გყავთ აქ?  
 – მეუღლე.  
 – საიდან ჩამოხვედით?  
 – მე თვითონ ნოვოსიბირსკელი ვარ, საქართველოში გავთხოვდი, – ატირდა, – იქიდან ჩამოვედი.  
 – ნუ ღელავთ, დამშვიდდით და მოყევით.  
 – ჩემი ამბავი ძნელი მოსაყოლია, – ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.  
 – დრო მაქვს, შემიძლია მოვისმინო.  
 ტანიამ ყველაფერი დაწვრილებით მოყვა.  
 უფროსი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, სიგარეტს მოუკიდა, შემდეგ ყურმილი აიღო:  
 – ვახილის დამიძახეთ... მაიორი კუნცევი მოგესალმებათ... სწორედ ის მაინტერესებს... გვარი? კარგად ვიცი, რომ გვარებს არ ეკითხებიან, თუცა... კარგია, რომ ყველა ცოცხალია... რამდენიმე ხანში გადმოგირეკავ... რა თქმა უნდა... ეს ჩვენი გასარკვევია, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა, როგორც კანონი მოითხოვს... ნახვამდის, – ყურმილი დადო და ფანჯარასთან გავიდა, – რა გვარია შენი მეუღლე?  
 ტანია ნელ-ნელა წამოდგა.  
 – იჯექით.  
 – თევზაძე.  
 – კეთილი, – წიგნაკში ჩაინიშნა, – ნომერი?  
 – უკავრავად, რისი ნომერი? ტელეფონის თუ... არ ვიცი.  
 უფროსს ჩაეცინა:  
 – არაფერია, გავარკვევთ... გცემეს?  
 ტანიამ ამოიხრა და თავი დახარა.  
 – ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, თქვენთანაა განათლებული ადამიანი ზეკს პერედაჩას ასეთი სახით არ უნდა გადასცემდეს, არ გეკადრებათ. ასეთი რამ ჩემს მრავალწლიან პრაქტიკას არ ახსოვს. მესმის, გამოუცდელი ხარ, უფროსი უნდა მოგეყვანა, ან შენი ან შენი მეუღლის მშობლები. ვისაუბრებდით, მე ავუხსნიდი როგორ უნდა მოქცეულიყვნენ... ახლა რაღა დროს ეგაა, გვიანია.  
 ტანიამ თავი ასწია:

– როგორ გვიანი? ჩემი ქმარი ცოცხალი არ არის?  
 – წელან არ გესმოდა საუბარი? ყველა ცოცხალია. ჩემი ჯარისკაცები მხოლოდ ფეხებში ესვრიან. სამი და ოთხი წელი ცოტა დრო არ არის. რას აპირებ?  
 – არ ვიცი.  
 – სახლში უნდა დაბრუნდე და სწავლა გააგრძელო. დრო გავა, დაგავიწყდება, სხვას ნახავ.  
 – მერე ბავშვი?  
 – გასაგებია, ძალიან ძნელია, მაგრამ რას იზამ, რამდენი ქალი ვიცი, ბავშვებს პრიუტში აბარებენ, ამაზრუნენია.  
 – მე ბავშვი უკანონოდ არ გამიჩენია, რომ პრიუტში ჩაეხატო, – ისევ ატირდა.  
 – არა, თქვენ ვერ გამოგვით, თქვენთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია... მაშინ წამოიყვანე და წაიყვანე სახლში. სხვა გზას მე უბრალოდ ვერ ვხედავ. აქ რა უნდა აკეთო, ამ ჯოჯოხეთში. აქ უნდა გაატარო ახალგაზრდობა, აქ უნდა დაკარგო სილამაზე. სიყვარულის განა არ მესმის, გულქვა კი არა ვარ, მეც ადამიანი ვარ, მეც მაქვს გული. ჩემი ნება რომ იყოს დღესვე გაგათავისუფლებდი შენს მეუღლეს და ერთად წახვიდოდით, გზას დაგილოცავდი, მაგრამ მაიორ კუნცევის ვინ რას ეკითხება. რაც მოყვები, მჯერა, სწორია, მართლა ბევრი იხდის სასჯელს უდანაშაულოდ, უდანაშაულოდ... – ბოლო სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა.  
 ერთხანს სიჩუმე. ბოლოს უფროსმა რიგით ბაღრაგს დაუძახა და ტანიას სახლამდე მიყვანა უბრძანა.  
 სახლში ვანია დახვდა.  
 – ივან პეტროვიჩ, იცით რა მოხდა?  
 – ვიცი.  
 – საიდან იცით?  
 – ეს ამბავი უკვე მთელმა ოლქმა იცის და მალე მთელი საბჭოთა კავშირი გაიგებს. სად იყავი?  
 ტანიამ უთხრა სადაც იყო და ვისთან.  
 – ვიცნობ იმ მაიორს, თავიდან ბაღრაგით დაიწყო, ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი იმ უღმერთოს.  
 – რა ვიცი, კარგად მიმიღო.  
 – საერთოდ ასეა, ახალგაზრდობაში ჩადენილ დანაშაულს, არაადამიანურ მოქმედებებს... ბოლოს ვითომ ინანიებენ, მაგრამ არა, მონანიება ვერ უშველით, თვით რომის პაპთანაც რომ მივიდნენ... ისე, ჩემი აზრით მართალი უთქვამს.  
 – რა უთქვამს მართალი, ივან პეტროვიჩ?  
 – შენს აქ დარჩენას არა აქვს აზრი.  
 – რა გქნა, როგორ მოვიქცე?  
 – მე ვეთანხმები მაიორის წინადადებას.  
 ტანიამ ტუნზე იკბინა.  
 – აქ სადმე ახლოს რომ ვიყო და ვიმუშაო...  
 – აქ სად უნდა იმუშაო?  
 – თუნდაც რომელიმე მშენებლობაზე, არ ვიცი, ან სადმე, კარგია სკოლა, ბიბლიოთეკა...  
 – სკოლა და ბიბლიოთეკა მეც ვიცი რომ კარგია... ახლა მოვა მანია და მოვილაპარაკოთ.  
 – სად წავიდა?  
 – შენ გეტყვს, ვიცი მაგისი ხასიათი, ატეხავდა ერთ ამბავს.  
 ტანიას თვალები აუცრემლდა.  
 – როგორ მეცოდება ეს ქალი.  
 – შენ მაგისი ამბავი კარგად არ იცი, მეუღლე, ორი წელი... სამივე აქ განისვენებენ.  
 ტანიამ თავი ასწია:  
 – შეიძლების სიკვდილზე არაფერი უთქვამს.  
 – არც გეტყოდა... უბედური ქალია, მას შენ შეილივით შეუყვარდი.  
 – მეც ძალიან შემიყვარდა.  
 მანია მალე დაბრუნდა, ტანია დაინახა თუ არა, გადაეხვია და კოცნა დაუწყო.  
 ორივე ტირიდა.  
 – კარგით, გვეყოფათ ახლა, დამშვიდდით, – ვანიაც აქვითინდა.


ნარო კოლხელი  
 (ნარიმან იაშვიაშვილი)

A black and white portrait of a middle-aged man with short, dark hair, looking slightly to the right. He is wearing a dark and light checkered button-down shirt. The background is out of focus, showing vertical lines that could be curtains or a wall.

დავიწყოთ იმით, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჯერ მხოლოდ ძალები მოსინჯა პოლიტიკურ ასპარეზზე მოსასვლელად, საკუთარი პოლიტიკური ხედვები კი ჯერ არ გაუქადერებია. მხოლოდ იმის სურვილი, რომ აშკარა ანომალიური გადახრების მქონე სააკაშვილი გააგდოს ვინმემ და მას ჩაენაცვლოს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, საკმარისი და დამაჯერებელი ვერ იქნება ელექტორატისათვის!

აი, რისი ეშინიათ დიქტატორობის ვირუსშეყრილ მიხეილ სააკაშვილს და მის თანამძრახველთა გუნდს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს ქართველი ხალხის დასამონებლად და საწარყელად გაუხადეს მას ღელსკი ობიექტური არჩევნების ჩატარე-

**სიძვირით  
ღაბნვარი**



P.S. შეიძლება ბოძინა ივანიშვილი შეგ-  
ნებულადაც აგვიანებს თავისი პოლი-  
ტიკური მიზნებისა და სამოქმედო კონცე-  
ფციების გაჟღერებას, რადგან კარგად იცის,  
რომ კონკურენტთა პოლიტიკურ მოსაზრ-  
ებებს ხელისუფლების მიმტაცებელი “ნა-  
ციონალები” არაფრად აგდებენ და მხო-  
ლოდ არჩევნების გაყალბებით ინარ-  
ჩუნებენ ძალაუფლებას. ამის დასტურად  
ისიც გამოდგება, რომ ბატონმა ალექსანდრე  
ჭაჭიამ ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნა  
უნიკალური სახელმწიფო მნიშვნელობის  
ქარტა – “საბაიოტაშვილი ვერონიკა-სახ-  
მეფოვრობის ბიძა ბაქტოვარის სტრატეგია-  
ბიბი და ვერონიკა ილია”, რომელშიც  
მეცნიერულ დონეზე, პუნქტობრივად იყო  
გაწერილი დიდ გასაბიჯში ჩავარდნილი  
ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი  
შემდგომი განვითარების გზები. მაგრამ,  
ჯერ კორუფციის “დიდოსტატამ”, ამერიკის  
თავიან-ფეხიანად მიყიდულმა, დიდ ფულს  
დახარბებულმა ედუარდ შევარდნაძემ,  
შემდეგ კი მისი შავნახელი საქმიების  
“ღირსეულმა” გამგებლებებელმა, ასევე დიდ  
ფულსა და უსაქციელო დედაკაცებთან  
დროის ტარებას დახარბებულმა მიხეილ  
სააკაშვილმა საერთოდ არ მიაქციეს ყუ-  
რადლება ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს  
დოკუმენტს, რადგან მათ ინტერესებში არა-  
სოდეს არ შედიოდა და არც შედის  
საქართველოს გამოდღიანება, მისი  
ეკონომიკურად და სულიერად გაძლიერება  
და შემდგომი განვითარება!

ესეც უდავოდ გასათვალისწინებელია!

ნახ. ოთარ თორგელის

გსაუბრა თქმა ასათიანო

გრიშა ონიანი: მთელი საქართველო ჩვენს გაეშვილს, საკავშირეო ხელისუფლებას არ ღაღიანებს!

გაგრძელება მე-3 გვ.დან.

დროს ხელი შეუშალა იმ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ – გლობალიზაციისა და კოსმოპოლიტიზმის“ – დანერგვას, რის გაკეთებასაც ბოლშევიკი ტროცკისტები რუსეთიდან გეგმავენ. ეს ვერ აპატიეს დღემდე და ღამის სტალინი და პიტლერი ერთ რანგში გაიყვანონ.

– ქუთაისში, ავღლიანის ბიჭია თუ ვისიც არის, დიდებით რომ დამარხეს, ნათელი დადგეს მის ხსოვნას, მაგრამ ჩემი ძმის შემორჩენილი რომ იყო და ამოფეთქეს – ის რას აკეთებდა უფრო უარესს – ებრძოდა იმას, ვინც სვანეთში ბოშებს ყრიდა? ავღანეთში რომ წაიყვანა და იბრძოდა, იმის საფლავი ჩემი ძმის საფლავზე გამორჩეული რითაა, რომელიც სვანეთში იბრძოდა?

– უბედურებაა ისა, რომ სააკაშვილისთვის სამამულო ომში სამშობლოს დამცველები რუსეთის ომში მონაწილეობდნენ აღიქმება. ჩვენთან ისევე როგორც ყველაფერში, შერჩევითი გმირობაა. სამამულო ომში დაღუპული გმირი რუსეთისთვის მებრძოლია; ამერიკისთვის დახოცილი ქართველები კი – საქართველოსთვის მებრძოლები! აღმაშენებლის ორი ძეგლი, სტალინის ძეგლი აიღეს და „მიმინოს“ოთხს ქანდაკებას დგამს ავღაბრის სკვერში. აღმაშენებელს იღებს და ბუბა კიკაბიძეს უდგამს ძეგლს? ეს სამარცხენო არ არის?

– აი, ამაზე უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს გართულება და არა იმაზე, რომ სააკაშვილს ეშინია. ბრმაა უნდა ეძახო – ბრმა ხარო? აგერ, ნახევარი მილიონი კაცი რომ მიადგა – გადადგე, გადადგეო – არ შეეშინდა. ე.ი. რაღაც ფაქტორი არის.

– სააკაშვილს ორი თვალი აქვს და

მინც ვერ ხედავს, მის ირგვლივ რა ხდება, ისევე როგორც, რაც არ უნდა – ორ ყურში არ ესმის. ქალი ვარ და ღაღიანი მხედართმთავარი არც მე მინდა...

– ახლა ის ეპოქა არ არის. ეს სააკაშე არ არის, რომ ცხენზე ამხედრდეს და წინ გაუძღვეს ღაღიანს. ეს სააკაშვილია და არა სააკაშე.

– სააკაშის ეპოქა და სააკაშე თუ არ არის, იმდენი განსჯის უნარი პრეზიდენტს მაინც არ უნდა ჰქონდეს, რომ ქვეყანა უაზრო პროუოკაციაში არ ჩაითრის? ის არ გააკეთოს, რაც ამერიკის საამებლად ავგისტოს ომით გაგვიკეთა და ტერორიზმი დაგვაგავინა?

– აი, საქმეც ესაა. ამაზე უნდა ვეკამათოთ და არა სხვა რამეზე. ერთი დაწვებული წერილი მინდა, წავიკითხოთ: „პატრიარქმა მეთხა – სტალინი თუ გამოცხადდებაო?!“ – არ ვიცი, გამოცხადება რა არის-მეთქი. – არც დაგ-სიზმრებიაო?! – როგორ არა-მეთქი. მოგეფიქრეთ. მითხრა – ეს არის გამოცხადებაო“. ყველა ადამიანს, აქვს თუ არა სურვილი, თავისი კერპი ჰყავს. ზოგიერთი მას ღამაზად ფუთავს, ზოგიც – ვერა. ზოგს ანგელოზი ეცხადება, ზოგს – ეშმაკი. დავ, საუკუნეებმა განსაზღვროს ვინ ღმერთთან იყო წილნაყარი და ვინ – ეშმაკთან. მე ის ქართველი კაცი ვარ, რომელიც მეგობრებმა ვერ გადამაკეთეს. ჩემიანთი საქართველოში უმრავლესობაა. გადაწყვეტილებები კი ერთგულნი არიან. სტალინსაც უნდა ქართველების გადაკეთება, მაგრამ ვერ შეძლო. ცხოვრება იმ ქვეყანაში გააგრძელა, რომელშიც ეცხოვრებოდა. ჩემი შეგნებული ცხოვრება, რომელმაც უამრავ ქართველში გამოიარა, დაწვებული ყარა-იაზიდან (გარდაბანი, – ბა.), დამთავრებული ყიზილარამდე, თან მდევდა ჩემი საყვარელი

სენათის სიამაყე. ჩემი მეგობრების თანადგომა და ერთგულება. კაცობრიობის არსებობის განმავლობაში არსად, არცერთ ქვეყანაში, არ ყოფილა თობა, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იანელებს შეედრება; თაობა, რომელმაც მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრები შექმნა. მე ამ თაობის მომდევნო თაობა ვარ, რომელსაც აბოპოქრებულ ზღვაში გადაგვიდეს „ოქროს თაბი“. საუბედუროდ, ჩვენ ის ვერ ამოვიღეთ. ჩვენმა თაობამ დაასრულა რომანტიზმის, პეროიკის, პატრიოტიზმის, სიყვარულისა და მეგობრობის ეპოქა. იყვება პრაგმატიზმის, პრაქტიციზმის, გაუცხოების, პლანეტარული ღმერთისა და ადამიანის ფორმირების ეპოქა. ახალგაზრდობა, რომელსაც როგორი იდეებიც უნდა მოჰქონდეს, მაინც იმარჯვებს – ალბათ, ბუნებრივია. ახალი ეპოქა ახალ ადამიანებს წარმოშობს და შეაგუებს არსებულ დროსა და სივრცეს. ჩვენი ვალია, მხოლოდ ვილოცოთ მათზე.

– ბატონო გრიშა, სააკაშვილი თუ დაგ-სიზმრებით? თქვენ ასხენეთ – სტალინს საქართველოს გადაკეთება უნდაო. უამრავ მასალას გავცეცანი და გავიგე, რომ ბევრ რამეს, სტალინი იღია ჭაგუჭაგაბის სწავლების მიხედვით აკეთებდა. პეტერბურგში სწავლის წინ ღამის ორ საათზე საგურამოში ქალბატონ ოლღას გადავიტყუებოდა იღია და დილაშეგ საუბრობდნენ. ილიასეული გლეხური მეურნეობის თემისა და ხიდაბუნების მოწყობის პრინციპი სტალინმა კოლმეურნეობაში ჩაღო. ვფიქრობ, სტალინი საქართველოს გადაკეთებას კი არ ცდილობდა – პირიქით, საბჭოთა კავშირი ქართულ სახელმწიფო მოდელზე მოაწყო...

– ერთგან „წერილები კავკასიიდან“ წერს, რომ რაც ბაქოში ჩვეულებრივ ამბად შეიძლება განიხილონ, ამას საქართველოში ექვსი-შვიდი თვის კამათი სჭირდებაო. მონ-

ტეფიორე, მიუხედავად თავის წიგნში სიონიზმის სიძულვილის ჩადებისა, ვერ მალავს, რომ სტალინი ბავშვობაში, ახალგაზრდობაში გამორჩეული, უპატიოსნესი და მტკიცე ნებისყოფის, ცხოვრების წესის მიხედვით ზნეობრივი ადამიანი იყო. სტალინს არ მოსწონდა სიღაწრე და საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი – სამამულო ომის 129 გმირი გვეყავდა. ამ გმირების წინაპირობა მან შექმნა. ჩვენთან ამ დროს გმირობის წინაპირობა ვერ იქნება.

გმირობას პირადი მაგალითი უნდა. სტალინისთვის ტანკს უფარდებოდნენ. სააკაშვილისთვის, ძალით თუ არ შეაგდებ ტანკის ქვეშ, შემეფარდნი დღეს არავინ გვეყვლება. ახალგაზრდა გმირობის მაგალითს უნდა ხედავდეს. სააკაშვილი არც სამშობლოს, არც ცოლის, არც შვილის გამო თავს არ გაწირავს. თუ სამშობლოსთვის თავგანწირვის უნარი არ გაქვს, რა მხედართმთავარი ხარ? სტალინი ომის დროს დაცვის გარეშე დადიოდა მოსკოვში. ესენი კი თავის გადასარჩენად წითელ ხიდან ერთმანეთს ასწრებდნენ და ხალხი ბედის ანაბარა მიატოვებს. სააკაშვილმა ომი როგორ უნდა მოიგოს? 12 ავგისტოს ქართველი ბიჭები ყვავორების საჯიჯგანად დატოვა. ჯერ ისევ თბილი იყო მათი ცხედრები, ტაშ-ფანდურით „გამარჯვება“ რომ იხეიმა ეს შეიძლებოდა? გმირი უწმიდესია, რომელიც კონფლიქტურ რევიონში ქართველი ბიჭების ცხედრების გამოსაყვანად შევიდა და ჭირისუფლებს დახოცილი და სააკაშვილის ზვარაკად შეწირული შვილების გვამები მაინც გამოუყვანა.

ესაუბრა ბაიბა ამამშაპელი  
საინფორმაციო-ანალიტიკური  
სააგენტო „საქინფორმ“

პოლიტიკური PR

აბრევიატურა PR (პიარი) წარმოდგება Publik Relation-დან, რაც ქართულად „საზოგადოებასთან ურთიერთობას“ ნიშნავს. PR არის საზოგადოებასა და სხვადასხვა სუბიექტებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთკავშირის და შეთანხმების მიღწევის ეფექტური საშუალება.

ს. კანდილისა და გ. ბრუშის განმარტებით „PR ეს არის მართვის ფუნქცია, რომელსაც შეუძლია ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს ურთიერთსასურველი კავშირები ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის, რომელზეც დამოკიდებულია ორგანიზაციის წარმატება და წარუმატებლობა.“

PR-ტექნოლოგია თავდაპირველად ბიზნესში დაინერგა საზოგადოების მხრიდან მომდინარე უარყოფითი შეხედულებებისა და კრიტიკის გასაწვრივად და ამ უკანასკნელთათვის დადებითი ინფორმაციის მიწოდებით, შემდეგ კი ეს ტექნოლოგია გადმოღებულ იქნა პოლიტიკაში, სადაც მან უაღრესად პოპულარული როლი შეასრულა.

PR-ის პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირება და ამის მეშვეობით პოპულარული საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშეწყობა. საზოგადოებრივი აზრი ეს არის ადამიანთა შეხედულებების თავმოყრა საერთო პრობლემის შესახებ, როდესაც კოლექტიური დამოკიდებულება გაანიათ ამა თუ იმ საკითხისადმი. ამჟამად ის (საზოგადოებრივი აზრი) ადამიანთა თავისებურ კონსენსუსს წარმოადგენს. PR-სპეციალისტების და ნიშნულება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, გაანალიზება და მეცნიერული დამუშავება, რომლის შემდეგაც ის უნდა იქნეს წარმართული სასურველი მიმართულების, რადგან საზოგადოებრივი აზრის ფლობას და მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრივი აზრის ძალასა და უპირატესობაზე მიუთითებდა ამერიკის პრეზიდენტი აბრაჰამ ლინკოლნი: „ვერასოდეს მიაღწევ წარმატებას იმ საქმიანობაში, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგება, და ვერაფერი შეგიშლის ხელს იმის კეთებაში, რასაც საზოგადოებრივი აზრი ემხრობა.“

PR-ის სპეციალისტები ცდილობენ კანდიდატი (პარტია) გააცნონ საზოგადოებას (ამომრჩეველებს) მიმზიდველი და სასურველი სახით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კანდიდატსა და ამომრჩეველებს შორის ნაყოფიერი და ურთიერთსარგებლო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ამრიგად ნებისმიერ პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც სურს თავისი მოღვაწეობის წარმატების მიღწევა, ის იყენებს PR-ტექნოლოგიას, რომელიც აძლევს საშუალებას საზოგადოებას მიაწოდოს დადებითი ინფორმაცია და პოპულარული განაწილოს საკუთარი პერსონის მიმართ.

PR-ის მიზანია შეავსოს საზოგადოების დამოკიდებულება, ინტერესები და მოლოდინი არჩევნებისადმი, მოახდინოს კანდიდატის (პარტიის) პოლიტიკის, პროგრამის და მიზნების იდენტიფიცირება ამომრჩეველთა ინტერესებთან მიმართებაში და შეასრულოს მოქმედების პროგრამა, რომელიც ამ უკანასკნელთ გაუადვილებს ურთიერთგაგებისა და აღქმის შესაძლებლობას.

PR-ის სპეციალისტები ეხმარებიან კანდიდატს იმიჯის შექმნასა და მართვაში, მაგრამ მათი საქმიანობა არ მოიცავს იმ იმიჯს, რომელიც ინდივიდის ცხოვრებაში ყოველდღიური მრავალი მოვლენებით ყალიბდება, არამედ მათი საქმიანობა ემსახურება კანდიდატის (პარტიის) აღქმას, ცნობადობის დონის ამაღლებას, რომელიც ყალიბდება მათ პრაქტიკული მოქმედების, ზეპირი განცხადებების, საბეჭდო მასალები ზეგავლენით. ისინი უკვე თვითონ შეიცავენ იმიჯის ელემენტებს. იმიჯი არის საზოგადოების აზრობრივი წარმოდგენა კანდიდატზე (პარტიაზე), რომელიც მიზანმიმართულად ყალიბდება მასობრივ ცნობარეგულში.

იმიჯი არ უნდა იყოს დროებითი მოვლენა, არამედ იგი უნდა ატარებდეს მუდმივ, სისტემატიურ ხასიათს, მისი

ცალკეული თვისებები, რომლებიც იმიჯის ფორმირებისას გამოიყოფა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს და იყოს მთლიანი. კანდიდატი მუდმივად უნდა ცდილობდეს (არჩევნებში გამარჯვების მერეც) იმიჯის შენარჩუნებას. ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ის გადადგამს აწინდელ-აწინდელ და გაანალიზებული უნდა იყოს, რადგანაც მისი ყოველი შეცდომა იწვევს საზოგადოების უკუგაქცევის, რომელიც მის იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს. კანდიდატს იმიჯის შენარჩუნებაში PR ეხმარება. ის (PR) ცდილობს საზოგადოების მხრიდან მიმდინარე უარყოფითი მუხბი დაძლიოს და მათ მიაწოდოს პოზიტიური ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.

კანდიდატის იმიჯის ფორმირებისას PR-ის გამოყენება იმაგდროულად ნიშნავს PR პროგრამის დაგეგმვის აუცილებლობას, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე წარმატების მიღწევა ძნელია. PR პროგრამამ უნდა შეძლოს მყარი აზრის ფორმირება დასამახსოვრებელი და მიმზიდველი სახის დაწერვით.

PR-ის სპეციალისტები გამოყოფენ PR დაგეგმვის 7 ეტაპიან მოდელს:

1) სიტუაციის ანალიზი – ასეთ შემთხვევაში აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის შესწავლა: იმის გარკვევა, თუ რა პრობლემები არსებობს საზოგადოებაში და რისი გადაჭრა დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. ეს კი მოგვეცეს სიტუაციის რეალურად (ზუსტად) შეფასების შესაძლებლობას. რადგანაც საზოგადოების მოთხოვნებთან შეუთავსებელი PR კამპანიის ჩატარება წარუმატებლობითაა ვის არის განწირული. ასევე უნდა მოხდეს კონკურენტის შესაძლებლობების დადგენა: კერძოდ, რა ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია, საზოგადოების და პოლიტიკური სექტორის რა ნაწილი უჭერს მხარს და ა. შ.

2) მიზნის განსაზღვრა – ამ ეტაპზე აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რისი მიღწევისკენ არის ორიენტირებული PR სტრატეგია: გახადოს კანდიდატი საზოგადოებისათვის ცნობადი და პოპულარული;

3) განეტყუებოდ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება, მისი მცდარობის დასაბუთებით, რაც საზოგადოებაში ნდობის აღდგენას ხელს შეუწყობს. ეს შესაძლებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის და მოქმედების ახალი სტილის დანერგვით: კანდიდატის შესახებ მოძიებულ უნდა იქნას ნაკლებად ცნობილი ისტორია ან ფაქტი, რაც საზოგადოებას უნდა ემცნოს, რათა ამის მეშვეობით გაიზარდოს კანდიდატის შანსები წარმატების და სანდოობის მოსაპოვებლად. ასევე მუდმივად უნდა ხდებოდეს პოლიტიკური სუბიექტის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

4) საზოგადოების სეგმენტებად დაყოფა – საზოგადოება მრავალფეროვანია მისი შინაგანი სტრუქტურით და აგებულია მრავალი დანერგვით: კანდიდატის საზოგადოების მრავალფეროვანი სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების სტატისტიკური დამუშავება. რაც უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია საზოგადოება, მით უფრო რთულია მათთან მიმართების და PR ორიენტაციის განსაზღვრა, რადგან ყველა ფენა თუ სოციალური ჯგუფი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს PR-ის მწარმოებლის მხრიდან, რაც შესაბამისად უნდა აისახოს PR პროგრამაში;

5) მასმედია – როგორც ცნობილია, მასმედიის საზოგადოებაზე გავლენა დიდია, შეიძლება ითქვას, რომ იგი უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. PR მასალის განთავსება მასმედიაში ხორციელდება PR სპეციალისტების მეშვეობით. მას უშუალო ურთიერთობა აქვს რედაქტორებთან, ჟურნალისტებთან, ტელევიზიო პროდიუსერებთან. მასმედიაში განთავსებული (გავრცელებული) ინფორმაცია სიახლის შემცველი და საზოგადოების ინტერე-

სის გამომწვევი უნდა იყოს. ამიტომ მასმედიის მეშვეობით სწორად წარმართული PR იძლევა წარმატების საშუალებას.

მასმედიის საშუალებათა შერჩევა აუცილებელია იგი მოიცავს: მასმედიის საზოგადოებაზე გავლენის, პოპულარობის, ტირაჟის რაოდენობის და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებას;

6) ბიუჯეტი – უნდა დადგინდეს PR პროგრამის ღირებულება, განისაზღვროს მოქმედების რომელ ნაწილში რა თანხაა საჭირო და ა. შ. რადგან ბიუჯეტი საბოლოო ჯამში მოქმედების გეგმად უნდა იქცეს;

7) შედეგების ანალიზი – კანდიდატზე საზოგადოების ცნობადობის (პოპულარობის) გაზრდით და დამოკიდებულების შეცვლით ღვინდება PR პროგრამის შედეგები. კერძოდ, თუ მანამდე არსებული კრიტიკა დადებითი ტონით (პოპულარობით) შეიცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ PR პროგრამის განხორციელება შედეგიანი აღმოჩნდა.

საქართველოში PR-ისადმი საზოგადოების (ამ მხრივ განსაკუთრებით პოლიტიკური სექტორი სცოდნავს) დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. კერძოდ, ქართულ რეალობაში PR ხშირად მოიხსენიება ცუდ კონტექსტში, რაც ამ ტექნოლოგიაზე სწორი, საფუძვლიანი ინფორმაციის უქონლობის ბრალია, რის გამოც მივიღებოდა საზოგადოებაში ნიჰილიზმი და ხდება PR-ის დისკრედიტაცია. გარდა ამისა, ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში (და საერთოდ, რაც სხვა ქვეყნებშიც) დამკვიდრდა ისეთი სახის ბინძური პროპაგანდისტული ტექნოლოგია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს PR-თან, თუმცა საზოგადოების მიერ მაინც მასთან არის გაიგივებული, ოღონდ „შავი PR“-ის სახეცვლილებით. მაგრამ მათი მიზნები და მოქმედების ხერხები ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, PR (კდილობის საზოგადოების ნდობის მოპოვებას კანდიდატის შესახებ პოპულარული ინფორმაციის მიწოდებით, ხოლო „შავი PR“ კი საზოგადოების მოტყუებას ცდილობს უკანონო, უსამართლო და არაადამიანური ხერხებით, რომელსაც იყენებენ კონკურენტები ერთმანეთის მიმართ. როგორცაა: კომპრომატების შეგროვება და გავრცელება, ცილისამყება, დანინება, შანტაჟი და ა. შ. რაც საბოლოო ჯამში კონკურენტის დისკრედიტაციას ემსახურება. აქედან გამომდინარე შეიძლება მართლად დავასკვნათ, რომ „შავი PR“ არის ბინძური ტექნოლოგია, რომელსაც საერთო არაფერი არქვს ნამდვილ PR-თან. ამ შეხედულების გასამყარებლად PR-ის სპეციალისტის სემ ბლევას განმარტება შეგვიძლია დავიმოწმოთ: „PR ეს პარმონიის მიღწევის ხელოვნება და მეცნიერებაა ურთიერთგაგების საშუალებით, რომელიც სიმართლასა და მასშიმალურ ინფორმირებულობას ემყარება.“

PR ეხმარება კანდიდატსა და ამომრჩეველებს ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნაში, რასაც იგი ალწევს კომუნიკაციის მეშვეობით. ყოველივე ამისათვის კი იყენებს მასმედიას (ტელეგადამცემა, რადიო, გაზეთი, ჟურნალი, ინტერნეტი), რომელიც ინფორმაციის ფართო ასპექტში გავრცელების საშუალებას იძლევა – მას ისმენს მრავალრიცხოვანი აუდიტორია, ხოლო PR ანალიზს უკეთებს აუდიტორიის რეაქციას და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ PR არის ურთიერთობის, თანხმობის და ერთსულოვნების თავისებური არქიტექტურა. იგი საზოგადოების ინფორმირებისა და პოპულარული ურთიერთობის მეშვეობით აყალიბებს პოლიტიკური სუბიექტის იმიჯს, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რომელიც აძლევს კანდიდატს არჩევნებში გამარჯვების საშუალებას.

ზურაბ ჯაბაშვილი,  
პოლიტოლოგი

ბორის ღაშითაია  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# გულწრფელად ვაპირობ: ოლონდ მებრძოლები აიღონ მთელი საქართველო!



საქინფორმის სტუმარი – საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მსახიობი, მრავალი სცენარის ავტორი, რეჟისორი, პროდიუსერი, მკლავჭიდის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდში და სვანი სოსო ჯაჭვლიანი.

– ბატონო სოსო, რაიმე რეგალიებს თუ ფილმს, გარდა იმისა, რომ მსახიობი, მკლავჭიდის ჩემპიონი და ბოლოს – რეჟისორიც კი გახდით?

– რეგალიებს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რადგან მეკითხებით, გეტყვით: „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მსახიობი ვარ. ყველაზე დიდი წოდება კი, სვანი რომ ვარ, ისაა (იკინის). ყველაზე დიდი რეგალია ჩემთვის პატრიარქის დაბარება აღმონდა. სპორტული ინტერესი კი არ მქონია, პატიმრობისას ოცდაათი დღე რომ ვიმშვიდე... ეს ჩემი პროტესტი იყო, რადგან ხალხს ასე მოეცნენ. პატრიარქის დანაბარებზე – თუ შეძლებს მოსვლას?! – შეგძენი კი არა, იმხელა ძალა მომეცა, ღოღს შეგუვარდებოდი. ეტყობა, ეს იმ მაღლის ძალაა, რაც პატრიარქისგან მიღის. ოჯახთან ერთად ოცდამათუ დღეს მივედი. მუხლებზე დავედგე და პატიება ვთხოვე, რადგან მისი თხოვნა არ შევასრულე შიმშილობის შეწყვეტის შესახებ. მანამდე შეგუთვალე – ნუ დამიგრაეს, მე ასე მინდა-მეთქი. ყველა დიდი რეგალია კი ის იყო, მისვლისას რომ დაგვლოცა, მერე მე – ოქროს ჯვარი, ჩემს მუდღეს – მედალიონი და შეიღებს ჯვრები რომ გვაწუქა. პატრიარქის დალოცვაზე დიდი ჯილდო სოსო ჯაჭვლიანის ოჯახისთვის არ არსებობს.

– ბოლო ხანს ძალიან გააქტიურდა პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. ხელისუფლება საზოგადოებისთვის ყველანაირ ავტორიტეტს ებრძვის. მათ შორის, ქართველთათვის ყველაზე დიდ ავტორიტეტს – პატრიარქს. ადამიანები ვართ და ბევრი რამ არ მოგვწონს და არც გვესმის. მაგალითად, რატომ დაჰკიდა პატრიარქმა იგივე რონალდ ახალაიას ჯვარი?! არ გვესმის, რომ ჯვრის დაიდება ჯილდოს კი არა, იმ ტვირთს ნიშნავს, რომელმაც, თუ შესაფერისად არ ატარე, შესაძლოა, გაგსრისოს. ვითხოვთ, რომ ჩვენი გასაკეთებელი – ანტიქართული ხელისუფლების გასტუმრება, პატრიარქმა ითავოს... მოგვიწოდოს ამისკენ...

– ინტერვიუმდე ვსაუბრობდით ქართულ სუფრაზე. ვთქვი, რომ არ მომწონდა, უვარგისა და კარგ ადამიანს – ორივეს ერთნაირად რომ ვადღეგრძელებდით. ერთმა ჰკვირანა კაცმა მითხრა – არა ხარ, სოსო, მართალი. მართლმადიდებლობა, აბა, მეტი რა არისო?! ნაძირალას რომ ადღეგრძელებ, ეგაა საქმე. ისე უნდა მოუფერო და ისეთ დღეში ჩაავდო, რომ თუ მასში იოტისოდენა სინდისია დარჩენილი, იმის წამოწევას უნდა ეცადო.

როცა საუბარია პატრიარქზე, გავიხსენოთ, რომ ყველაფერს შეგხნენ და გადაუარეს. დღეს ჩვენი – ქართველი ერის, სულიერების საყრდენი პატრიარქი და მართლმადიდებლობაა. ესენი ხალხის დაპირისპირებას ახლა მასთან ცდლობენ. მე კითხვას შევატრიალე – ამოვიღოთ ყველა ეპისკოპოსი და ყურადღებით წავიკითხოთ. ხალხს არ გვესმის, რომ პატრიარქი სოსო ჯაჭვლიანით ვერ ილაპარაკებს, ან ამაზე მეტი რაღა უნდა ვთხოვრას და დავიწეროს, რასაც გიწერს?! ჩვენი სულიერი მამაა. ყველანი მისი სულიერი შვილები ვართ და ბოლომდე, სანამ კიდევ იოტისოდენა ჩასაჭიდი შეიძლება დარჩეს, ის ამით მორჯულებას

მანც ხომ უნდა ეცადოს? რასაც იმსახურებენ, ის რომ უთხრას – ამით რა?! იმაზე მეტი რაღა უთხრას, რასაც ეუბნება და უწერს?

– საზოგადოებას სურს, რომ პატრიარქისგან მოისმინოს მოწოდება – გამოდით და დაამხეთ ეს უღმერთო ხელისუფლებათ. ამას პატრიარქი არასდროს გააკეთებს...

– ყველაფერი უფლის ხელშია. დარწმუნებული ვარ, თუ ეს საჭირო გახდა, უწილდეს ამასაც იხამს, მაგრამ... აი, ხედავთ? „მაგრამ“ რომ ვთქვი, უკვე ჩემს თავშიც ეჭვი შევიტანე. ჩვენ გვსურს, ყველაფერი ჩვენებურად იყოს. თუმცა არის ისეთი რაღაცებიც, რასაც ვერც კი წარმოვიდგენთ. ათი-თხუთმეტი წლის ამბავს ვეყვები, რაღაც მოხდა აგარაკებზე. ჩემ მიერ ხელმოწერილი წერილი იღო „მებაღეობის ამბავში“. თითქმის აღწერა ჩატარდა. ახლა თქვენ რომ დაგიღონ რაღაც წერილი და გაჩვენონ ჩემი ხელმოწერა, ამ დროს ჩემი ხელმოწერა არ იყოს... ასეთ რაღაცებთან გვაქვს დღეს საქმე. ასეა შესაძლებელი ადამიანების განზრახ შეცდომაში შეყვანა. ეს „გაგებზე“-ს მეთოდებია. ასე რომ, ესენი ყველაფერს შეეცდებიან, პატრიარქი გასვარონ და ის დიდი ავტორიტეტი შეურყიონ, რომლის მოპოვებაც თავად ვერაფრით მოახერხებს.

– ბატონო სოსო, მაინც არის პატრიარქის მოწოდების მოთხოვნა ერში. ხელისუფლებისა და საზოგადოების გახლჩქის მოსურნეს დაგებულ მახეში ყველა ვერ ხელავს. არაფერია მშველელი. ოპოზიციისაც დაარსების სჯერა. პატრიარქს შეეფერება და გადამწყვეტ სიტყვასაც მისგან ამიტომ ველით. 27-ის მარშზე რას იტყვით?

– იმ ოცდაათდღიანი შიმშილის შემდეგ იმდენი რამ დავინახე და გადავფასე, რაც მანამდეც ვიცოდი, მაგრამ ხომ იცით, მარტო ჯდოდა ფიქრისკენ განგაწყობს. ახლაც ვზივარ, ვფიქრობ ჩემთვის... რა შუაშია მარში, მიუხედავად „ეროვნული ფორუმის“ მიმართ ჩემი პატივისცემისა, თუნდაც, 26-ში რაც მოხდა... არაა საჭირო ცუდად და კარგად დახარისხება. ყველამ ვიცით, ვინ ვინ არის, მაგრამ არსებობს რაღაც პრინციპები, როცა, შერაღოდ, უნდა მიხვიდე და დადგე. 25-26-ში ვინც იქ იმყოფებოდა, მათ თქვენ მიმართ ლოგიკური კითხვა არ გაუჩნდება – შენ სად იყავი მაშინ, ხალხს რომ უმოწყალოდ არბევდნენ და ხოცავდნენ? ან ეს მარში რას გვაძლევს?! ამბობენ, რომ თურმე ასეთი მარშით მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ პროტესტი. ვინც უნდა გააჩერო, აფხაზეთზეც და სამაჩაბლოზეც და, ნაციონალების მომხრეების გარდა, ხელისუფლებაზეც თავის პროტესტს ნებისმიერი დავიფიქსირებს. მე ეს ყველაფერი მაინც თამაში მგონია.

ვინმესთან რომ არ შევრცხვებ, რაღაცების გადამოწმებას ჯერ ჩემთვის კიდევ უცდილობ. ერთი-ორი კვირის ფიქრის შემდეგ, იქიდან გამომდინარე, რაც ვნახე, პირადად შემეხო და მოვისმინე, ალბათ, ვიტყვი, რა როგორ იყო.

იქნებ, არ ვარ მართალი, ოპონირება ხომ უნდა გამოვიწიო მან, ვინც ამაში არ მეთანხმება?! ძალიან ბევრი რაღაც ვიცი, რაზეც საუბარი ღამაში არ არის. რაც მოხდა ჩვენ ირგვლივ, ხომ დავინახეთ, რომ ყველაფერი „სიაფანდობა“ იყო? არ გამოჩნდა ადამიანი, ვინც არც უკან დამხევია და არც სიტყვის უკან წამდები. რასაკვირველია, თუ შეცდი, სიტყვებიც უკან უნდა წაიღო.

შეუცდომელიც ხომ მარტო უფალია... ადამიანებმა ყველაფერი ვიცით. ესენი კი მაინც ჯიქურ გვაწევიან და ამასობაში ქვეყანა თავზე დაგვემხო.

ჩერქეზების გენოციდზე ბევრს რომ ღაპარაკობს ხელისუფლება, უცხოეთში ჩერქეზებმა მიტინგი რომ ჩაატარეს, აფხაზებმა და ოსებმა ქართული დროშა არ გააშლეს. სად მივდევრებით, ვისთან მივდევრებით? 150 წლის წინათ რაღაც მოხდა... 150 წლის წინათ ამერიკაში რა ხდებოდა, გამაგებინეთ, თუ იციან?!

– გენოციდი არ არის, რასაც ხელისუფლება ქართველ ხალხს მიზანმიმართულად უწყობს?

– აბა რას შერება – გენოციდს უწყობს და უტარებს ყოველ წამს და ყოველდღე, 2003 წლიდან მოყოლებული, დღემდე. უკვე ოცი წელია, ქართველებს გენოციდს არ გვიტარებენ?!

– ბატონო სოსო, ისევ საპატრიარქოს

თემას მიეუბრუნდეთ, რადგან უკვე ჩვენს ბოლო ბურჯსა და სახელმწიფოებრიობის ბოლო საყრდენს მიაღწენ. რას გვეტყვით პარლამენტის მიერ საპატრიარქოსთვის თავსმოხვეულ კომფისიების გათანაბრების კანონზე... ჩემი ინფორმაციით, საპატრიარქომ მას სულ რამდენიმე დღის წინათ მოაწერა ხელი. პატრიარქმა მასზე ვეტოს დადება მოითხოვა. პრეზიდენტმა კი ეს არ გააკეთა.

– პატრიარქმა გასაგებ ენაზე თქვა, რომ არ ეთანხმება. შეაჩერეთ, დაგვხდეთ და ვიმსჯელოთ ამ კანონზე. გამგებო გაიგებდა. ე.ი. მაინც მოაწერეს ხელი?!

– ამდენ ხანს უწმიდესი ხალხის რეაქციას ელოდა. ხელისუფლებაც ელოდა ამას. ხალხმა კი, ჩვეულებისამებრ, ამაზე რეაქციაც პატრიარქს აკვიდეთ...

– მე ვერავის დავეთანხმები იმაში, რომ ამით მერე რა მოხდა ასეთი?... საქართველოში პირველი და წარმართველი მართლმადიდებლობა არ უნდა იყოს? ჩაივინა ისრაელში ან საამიროებში და იქ წამოაყენო ყველა კომფისიის პარიტეტის საკითხი. ანუ ეს იგივეა, სახლში რომ შემომისახლდე – ერთი, ორი, ხუთი, მრავალი წელი რომ იცხოვრო... ანუ – რაც საქართველოში ხდება; მერე კი გამოიძახადო – ახლა მე და შენ პარიტეტზე დავდგეთ და ამ სახლში ერთნაირი უფლება უნდა გვქონდესო. რა, მე შენს უფლებას ვარდევ? არ გაძლევ ამ ქვეყანაში ცხოვრებისა და არსებობის ყველანაირ უფლებას?... ფაქტობრივად, ქართველებს ხომ გენოციდს გვიწოდებ... გამოდის, რომ ერთ 15-20 წელიწადში ქართველები უმცირესობაში იქნებიან.

– ამიტომ ხდება ყველაფერი ასე. ქონებრივი დაფაც კი მიმდინარეობს ქართულ ტარებზე უფლების მოსაპოვებლად. ჯვრის მონასტერზე მეზობელი სახელმწიფო პრეტენზიას რომ გამოაცხადებს, როგორა? შევნიდან მოყოლებული, მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ ეთნოსებს ეროვნულ უმცირესობებს ვუბნობ...

– არ არიან ასეთები ეროვნული უმცირესობები. ჯერ ერთი, საქართველოს მოქალაქეები არიან. მეორეც, ევანი დიასპორა და ვადლებული არიან, განათლებაც და ბევრი სხვა რამ თავიანთი სახელმწიფოს და არა საქართველოს ხარჯით დაიფინანსონ. ასეთი დიასპორებისთვის ქართული სახელმწიფოსაგან გაწეული ფინანსები ისევ გაჭირვებულ ქართველ ხალხს აკლდება. ეროვნული უმცირესობა საქართველოში ქურთები და აფხაზები არიან. ისინი, ვისაც თავისი სახელმწიფო არ აქვს.

– აფხაზიც ქართველური ტომებია, ბატონო სოსო. ისიც ქართველია და ამათ გარეგნული დიასპორების ეთნოსების ინტერესების დაცვაში ამერიკის სენატრიანაც ეხმარებიან...

– ქართველია, მაგრამ ძველი, ქართული ტომობრივი ერთეულია. მას ზუსტად ისეთივე უფლება აქვს საქართველოში, როგორც ქართველს. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ასეულობით ამდენ არაქართულენოვან სკოლას აფინანსებს. ჩაივინა იტალიაში, ამერიკაში და სკოლის გახსნა მოსთხოვონ. გეტყვიან – კი, ბატონო, ოღონდ შენმა დიასპორამ დაგასპონსოროსო. ასეა ყველაგან მსოფლიოში. სხვის წამოსაკიდებელს ზურგზე ჩვენ რატომ ვიკიდებთ?! როგორც მეზობელმა, შეიძლება ერთი-ორი სკოლა დაგისპონსორო, მაგრამ ჩემს ხარჯზე ასეულობით სკოლის დაფინანსება შეიძლება? მე შენ ყველანაირად ხელს გიწვობ, რომ აქ იცხოვრო და ქართველზე უკეთეს იყო (ხელისუფლებას გულისხმობს. – ბ.ა.). ესაა სინგაპურიზაცია. სპეციალურად აკეთებენ – რომ რასაც გაყავდებით არჩვენებზე აქამდე სწავლიდნენ, მერეც უპრობლემოდ იგივე „ასეთი უმცირესობების“ ხარჯზე გააკეთონ.

– გლობალიზაციაც ამას – „სინგაპურიზაციას“ არ გულისხმობს – ერთი ეთნოსი, ერთი რელიგია და საზღვრების გარეშე ერთიანი მსოფლიო რომ შექმნან? ბიბლიის მიხედვით, ეს „ბოლო ჯამი და ანტიქრისტეს მოსვლა“... პალესტინამ და ისრაელმა თუ ერთმანეთს დაარტყეს, იქ განთავსებული „ომარის მეჩეთი“ უნდა დაინგრეს და მესამედ აშენდეს სოლომონის ტაძარი. ეს წინასწარმეტყველებაც ხომ ყველამ ვიცით...

– კარგია, პალესტინასა და ისრაელს რომ მიაღქეით. გამოდის, ეს აბასი, თუ „შაჰ-აბასი“ და – რა ტაში დაუკრეს იქ?!

თურმე ამერიკა ამის (პალესტინის დამოუკიდებლობის) წინააღმდეგია. არ განვიკითხავ – ამერიკა, ევროპა ან რუსეთი როგორ იქცევა. ახლა ძალის დემონსტრირება ხდება. რასაც შენ გააკეთებ, როგორც მოიქცევი – ზუსტად ისე მოგეცევიან. ამიტომ ჩვენს მომკითხველს ის თუ არ დაანახვე, რომ შენი ოჯახის, ქვეყნის დასაცავად თავად დგახარ, ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელი აქ თავის ინტერესს გაატარებს. ყველას სუფრაზე რომ ვუპატიუებოთ, დანარჩენმა მსოფლიომ ჩვენ ისე ადგვიქვა, რომ „ესენი“ (ქართველები) „მთლად კარგად“ ვერ არიან, ყველას „მოდო, მიიროთი და რაც გინდა, წაიდეს“ ეუბნებიანო. დედამიწაზე, ალბათ, ქართველი ერთადერთი ჯიშია, რომელიც ავადმოუფურად განიცდის, თუ სტუმარს პატივს ვერ სცემს; მეზობელთან გადავა და რაღაცას მაინც მოიტანს. დანარჩენი მსოფლიო კი, თუ არ აქვს, გეტყვის – არ მაქვს და რა ვქნაო?! ეს გენეტიკურად გვიდევს.

– ეს კავკასიური სტუმართმასპინძლობაა და, ობიექტურობისთვის, ვაღიაროთ, რომ კავკასიის სხვა წარმომადგენლებსაც ახასიათებთ ეს თვისება. ჩვენ კი სწორედ ამ გენეტიკის მოშლას გვიპირებენ. სკოლებში ისევ სექსუალური აღზრდის დანერგვას გავმაგენ

– შლიან, მაგრამ ერთი ღარაცის იმედი მაქვს. მე სამი ბიჭი მყავს და მათ რომ ვუყურებ, ამ კუთხით, არანაირი აღზრდა მათ არ სჭირდებათ. ყველაფერს იქით გასწავლიან, ოღონდ – მამაპაპურად. ამით „აღზრდებსა და სისულელებს“ ისე დასცინიან, შენი მოწონებული. სწორედ ასეთი გენეტიკური მომენტები და ის „ერთი პროცენტი“ იყო ყოველთვის ერის გადამრჩენი.

– მაია ასათიანის გადაცემა „პროფილში“ გამოყვანილი ოთხი შვილის დედა, რომელიც ამაყად აცხადებდა – 50 დოლარს ვიღებ დღეში და ქმარი მიშვებს სამუშაოდ, ამით „დასაქმების პროგრამაში“ მოხვდება, ალბათ...

– მერე, ალბათ, დაბევრავენ კიდევ, ასეთს?!

– ბატონო სოსო, რამდენჯერაც ხელისუფლებამ რომელიმე რეგიონზე კლიპი გადაიღო და რეკლამირება გაუკეთა – ის მხარე დაეკარგეთ. გვახსოვს – „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“, „კოკოთი ფანდარასტ“... ორივე რეგიონი დაკარგულია. ახლა „პირველი ქალბატონის“ სიმღერის ფონზე სამეგრელოზე ტრიალებს კლიპი. სამეგრელოსაც ანალოგიურს ხომ არ უპირებენ?

– სვანეთში გზებისა და ტაშ-ფანდურების შესახებ ხომ გსმენიათ? როცა დაგვაპტიმრეს, ჩემ გვერდით ორმეტრიან ვაჟკაცს ჩაასვრევინეს და ჩააფსმევინეს. მერე ვინც ეს ჩაიღინა, ჩვენს დასანახავად მივიდა, ხელი გადახვია და უთხრა – ხომ არ გეწვინა, ძმაო, აქ ასეთი წესიაო. ზუსტად იგივე გააკეთეს სვანეთში. ამით ისე სჭირთ – ქალს ჯერ ნამუსს რომ ახდი და მერე ვეფრები?! ეს სვანები სულ ლაპარაკობდნენ მაშინ – კაცო, ეს მეგრელები... ესაო და ისაო. ახლა გულწრფელად ვამბობ – ოღონდ მეგრელებმა აიღონ მთელი საქართველო! ერთადერთი კუთხეა საქართველოში სამეგრელო და მეგრელებიც „ვიდაც-ვიდაცებს“ საკითხებს კარგად არეგულირებენ, თან – ბევრნიც არიან.

– მეგრელები ისტორიული ლაზები – ძირძველი საქართველოს ლაზიკას ქართული ტომია...

– მეგრელებს ეუბნები: ეტყობა, გენმა გაიღვიძა მეგრელებში. მე მაქვს გადაშენებული 500 სვანური გვარი. „ი“ და „ნ“ რომ მოაშრო, სულ მეგრული გვარებია. ამიტომ ამოღით, გუპატიუებით სვანეთში. ოღონდ სვანეთში მეგრელები დასახლდნენ და მეტი არაფერი მინდა... განმუხურის ამბები გახსოვთ? ყველაფერი გათამაშებული რომ იყო. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ნეხია დაგვამართა. ყველამ ყველაფერი კარგად უნდა გაიხსენოს. როგორ შაგრების ტყავივით დაპატარავდა საქართველო, ხომ ვხედავთ? და კიდევ აპირებენ რაღაცას, ალბათ.

ჩვენ ისიც ვიცით, რუსეთში რასაც ლაპარაკობენ, რომ თურმე ესენი – კახელები, მეგრელები, აჭარლები, სვანები, ქართველები არ არიან. ვფიქრობ ყველაფერი შეთანხმებით ხდება.

(გაგრძელება მე-12 გვ-ზე)

რეინდული კათილუოზილუბით შეპოზილი ქართული თავალიშვილი



აფხაზეთის მთავართა პირდაპირი მეგობრად აღექსანდრე შერვაშიძე იყო ადამიანი, რომელიც მე-20 საუკუნის რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სცენოგრაფად ითვლებოდა. ის ასევე იყო კარგი მხატვარი, რომლის ნახატები აღფრთოვანებას იწვევენ დამთვალიერებლებში. თავადი შერვაშიძე მეგობრობდა ისეთ ცნობილ მხატვრებთან, როგორებიც იყვნენ პაბლო პიკასო, ჟორჟ ბრაკი, ანდრე დერენი და სხვები.

ისტი, კრიტიკოსი აღექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძე 1867 წლის 24 დეკემბერს დაიბადა. მამისი კონსტანტინე შერვაშიძე, 1832 წელს, ქართველი თავადაზნაურობის მიერ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე იყო. შეთქმულების გამოსაშკარავების შემდეგ, კონსტანტინეს კავკასიაში ცხოვრება აეკრძალა. ის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ყირიმში გადადის. სწორედ ყირიმში, ქალაქ ფეოდოსიაში დაიბადა აღექსანდრე შერვაშიძე.

აღექსანდრემ ნიჟეოროდის კადეტთა კორპუსი დაამთავრა, თუმცა სამხედრო კარიერაზე უარი თქვა და სწავლა მოსკოვის ფერწერის, ძეგლისა და ხუროთმოძღვრების უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა. სწავლის დამთავრების შემდეგ, ის პარიზის „რუსული მხატვრული წრისა“ და მიმდინარეობა „ხელოვნების სამყაროს“ წევრი ხდება.

1906 წელს აღექსანდრე შერვაშიძემ პარიზში რუსი მხატვრების ნამუშევრების გამოფენის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა. იმდროინდელი ფრანგული და რუსული ხელოვნების საზოგადოება აღექსანდრეს დიდ პატივს სცემდა და მას ერთ-ერთ თვალსაჩინო და ნიჭიერ სცენოგრაფად თვლიდა.

თავადი შერვაშიძე პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში საქმიანობდა. ის ისეთ გამოჩენილ რუს და უცხოელ ოსტატებთან მუშაობდა, როგორებიც იყვნენ აღექსანდრე ბენუა, ვალენტინ სეროვი, ნიკოლოზ რერიხი, პაბლო პიკასო და სხვები. მისი თანამედროვე რუსი რეჟისორი და თეატრის თეორიტიკოსი ნიკოლოზ ევრეინოვი წერდა: „თავადი აღექსანდრე შერვაშიძე გახლავთ აღმოსავლური რაინდული კეთილშობილების განსახიერება, რაც ჩვენს დროში დიდ იშვიათობას წარმოადგენს.“

1918-20 წლებში აღექსანდრემ სოხუმში თეატრალური საზოგადოება და სამხატვრო სტუდია დაარსა, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1920 წელს ის რუსეთიდან მიდის და უცხოეთში აგრძელებს კარიერას. 1922-1946 წლებში აღექსანდრე შერვაშიძემ ისეთი ცნობილი სპექტაკლები გააფორმა, როგორებიცაა, ჯორჯ ბალანჩინის „ნეპტუნის ტრიუმფი“ და ლუდვიგ ვან ბეთოვენის „პრომეთე“. აღსანიშნავია, რომ მონტე კარლოში დადგმულ ბალეტ „შოთა რუსთაველში“ თავადაც მონაწილეობდა. ეს იყო ოთხაქტიანი ქორეოგრაფიული ეპოპეა, რომელიც პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ნიკოლას ევრეინოვმა და სერჟ ლიფარმა დადგეს.

აღექსანდრე შერვაშიძე იყო ასევე ცნობილი კრიტიკოსი. მას ეკუთვნის სტატიები პოლ სეზანზე, ვინსენტ ვან გოგზე და აღექსანდრე ბენუაზე.

1958 წელს, აღექსანდრე შერვაშიძემ თავისი ნამუშევრები სამშობლოში გამოგზავნა და მიუხედავად დიდი მატერიალური

სიღუჭირისა, თავის ნამუშევრებში გასამრჯელოს აღებაზე უარი განაცხადა. მისი ნახატების ნაწილი საქართველოს ხელოვნურ მუზეუმში ინახება, ნაწილი კი სოხუმის სურათების გალერეაში. მის ერთ-ერთი ცნობილ პორტრეტზე, ულამაზესი ქართველი მსახიობი თამარ თუმანიშვილია გამოსახული, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არაერთი სტატია მიეძღვნა.

დიდი ქართველი მამულიშვილი აღექსანდრე შერვაშიძე 1968 წლის 17 აგვისტოს მონტე-კარლოში, 101 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ქალაქ ნიცაში დაკრძალეს, თუმცა 1985 წელს მისი ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და დაკრძალეს სოხუმში.

ქართულმა საზოგადოებამ აღექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრები ფართოდ გაიცნო 1985 წელს, როდესაც თბილისში მისი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო.

ალექსანდრე აკობია

ამ პროცესს, სხალია, სკოლაშიდან ჩასული ენის მასწავლებლების დათხოვნა მოჰყვა



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი „საქართველოში მომხდარ ლინგვისტურ რევოლუციასა და ამის შედეგად კრემლის გაგლეჩის შემცირებაზე“ საუბრობს, რადგან რუსულ ენას გამოცდებზე ჩასაბარებლად სულ უფრო ნაკლები მოსწავლე ირჩევს.

კულტურის მინისტრ ნიკა რურუას აზრით, „დღეს საქართველოში რუსული ენის სწავლების არანაირი საჭიროება არ არსებობს“. ამ მნიშვნელოვან საკითხზე თვალსაზრისს ლიტერატორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **თემურ ძორიძე** გამოხატავს:

– როცა „ლინგვისტურ რევოლუციაზე“ ლაპარაკი, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენა თანდათან იდევნება, მისი მნიშვნელობა, საკომუნიკაციო დონეზეც კი კნინდება. თუ კარგად დავუდგებთ ყურს, როგორ მეტყველებენ პრეზიდენტი, მისი მინისტრები ქართულად, აპოკალიფსის შეგრძნება დაგვეუფლება. სხვათა შორის, სააკაშვილი რუსულადაც და ინგლისურადაც უკეთ საუბრობს, ვიდრე ქართულად.

პრობლემა ის არის, რომ დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ცდილობს მოახდინოს მეტალური რევოლუცია, რომლის უმთავრეს მიმართულებად ენობრივი ფსიქოლოგიის შეცვლას მიიჩნევენ. დღევანდელ გარემოში ინგლისური ენის შესწავლის საჭიროებაზე არავინ დაკვირვებას, მაგრამ ხელისუფლების, განათლებისა და კულტურის მინისტრების ამგვარი დამოკიდებულება რუსული ენისა და კულტურისადმი, განსაკუთრებით, რუსული მწერლობისადმი, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. ისიც ყველას ახსოვს, როგორ აცხადებდა განათლების ყოფილი მინისტრი გვარამია, ტოლსტოი არც ისე დიდი მწერალია. ასე დააყენა ქართველმა პოლიტიკოსმა ეჭვქვეშ ტოლსტოის დიდი მწერლობა, მაშინ, როცა ტოლსტოველობა, როგორც მიმდინარეობა, მსოფლმხედველობა, ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე ძალზე პოპულარულია. ნებისმიერი კულტურული ერისთვის რუსული მწერლობის მონაპოვარი შეუცვლელი რამ არის.

როცა 2000 წელს, საერთაშორისო გამოკ-

ითხვებით, ათასწლეულის საუკეთესო მწერალი უნდა გამოველინათ, პირველი-მეორე ადგილები სერვანტესმა და ტოლსტოიმ გაიყვეს... ამ ყველაფერზე უარის თქმა ძალდატანებაა ადამიანის კულტურულ მდგრადობაზე და მკაცრად გამოხატული პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. შეიძლება, რუსული ენა არჩევით საგნად იქცეს, მაგრამ მიუღებელია, როცა არჩევის პროცესში ასე უხეშად ერევა პოლიტიკა, ეს სერიოზულ საფრთხეს ქმნის არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მოვწყდებით დიდ კულტურულ არეალს, არამედ იმის გამოც, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და მომავალში აუცილებლად მოგვიწევს მასთან ურთიერთობა.

სახელმწიფოს მომავალში დასჭირდება არა მარტო რუსული ენის, არამედ რუსეთში ცოდნეები. ასე რომ, რუსული ენის არჩევით საგნად ქცევის პროცესი ხელოვნურად დაქარბებული და პოლიტიზებულია. ანტირუსული პროპაგანდის ფონზე ახალგაზრდა თაობა პუტინსა და დოსტოევსკის, მედვედევსა და ჩეხოვს აიგივებს, რაც უდიდესი შეცდომაა. როცა ახალგაზრდა ამ ცნობიერებით იზრდება, აიგივებს ქვეყნის ხელისუფლებასა და კულტურას, ეს აზროვნების გაუკუღმართებას იწვევს.

– დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა პუშკინის სკვერისთვის სახელის გადარქმევის იდეა წამოჭრა, მწერალმა მამუკა ხერხეულიძემ კი აღნიშნა: პუშკინის გვარში „აუზური“ ფიგურირებსო...

– გვარების კვლევა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით დასუსტადმე მიგვიყვანს, ჯანსაღ აზროვნებასთან ამას საერთო არაფერი აქვს. ან როგორ შეიძლება ერთმანეთთან გავაიგიოთ ჯორჯ ბუში და სტეინბეკი ან ოპენი? არ შეიძლება კულტურული ცხოვრების ზედმეტი პოლიტიზება. რუსული ენის საკითხის გადაწყვეტა ასე ანქარებულად დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს რუსული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე საეცადი-ისტები, ჩინებული მთარგმნელები, არც რუსეთთან ჩვენი კულტურული ურთიერთობის რესურსია ამოწურული. ამ პროცესს, ცხადია, სკოლებიდან რუსული ენის მასწავლებლების მასობრივი დათხოვნა მოჰყვება.

ეს ადამიანები გამორჩეული ინტელიგენტები არიან, ფიქრობ, მათ დიდი გადასაღებ-ბა და როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, ტრენინგები არ დასჭირდებათ, ისინი ეს-თეტიკის, კულტუროლოგიის შესანიშნავი პედაგოგები დადგებიან. შეუძლებელია კულტურის ისტორიის შესწავლა რუსული ლიტერატურის ცოდნის გარეშე. არც ის არის დამალული, რომ მმართველი პოლიტიკური გუნდის, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის, კულტურისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილის შვილები რუსულ ენასა ლიტერატურაში ვეზადებიან

და შესანიშნავად იციან ეს ენა. მშობლები მიიჩნევენ, რომ ამით მათი შვილების სულიერი სამყარო მდიდრდება. იმის გამო, რომ დღეს რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი გვაქვს, რუსული კულტურა, ენა არ უნდა უარყოფთ. მეფე თეიმურაზ პირველის ოჯახი, სამეფო ტახტი სპარსეთის იმპერიამ შეიწირა, მაგრამ სწორედ მან თქვა:

„სპარსთა ენისა სიტყვობან მასურვა მუსიკობანი“. როგორ ფიქრობთ, რა ენაზე საუბრობდნენ წმინდა ქეთევან დედოფალი და შაჰ-აბასი? რა თქმა უნდა, სპარსულად. რატომ არ უნდა იცნობდეს კარგად იმ ენისა და ქვეყნის ისტორიას, რომელთანაც დაპირისპირებული ხარ? ცნობილია, რომ მსოფლიოს წამყვანი სადაზვერვო სამსახურები განსაკუთრებულად სწავლობენ მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიას, ენას.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცივი ომის პერიოდში, განსაკუთრებული მოთხოვნა იყო რუსული ენის მცოდნეებზე. პენტაგონის შესაბამისი სამსახურები დიდი ინტერესით სწავლობდნენ კედლის გახეთქვასაც კი, რომლითაც მიფენილი იყო საბჭოთა სკოლები და დაწესებულებები, ასე ადგენდნენ საბჭოთა ადამიანის ფსიქოტიპს. დასასრულ, დღესაც ხშირად იმეორებენ, რომ ზვიად გამსახურდია რუსეთის მტერი იყო, უარყოფდა ქველავრს რუსულს, არ იცინა, რომ მის კალამს ეკუთვნის უბრწყინვალესი ესსე „ლეგ ტოლსტოი“, რომლის ბადალი ტოლსტოის შემოქმედების არც ერთ მკვლევარს არ დაუწერია, ამგვარი ღრმა განცდა ტოლსტოის პიროვნებისა და მსოფლმხედველობისა, იშვიათია. აღსანიშნავია ისიც, რომ წერილი ჯერ რუსულად დაიწერა და მერე ითარგმნა ქართულად. ჩემი აზრით, სწორედ კულტურას, ლიტერატურას, ენას შეუძლია შეასრულოს დესპანის როლი ხალხებს, ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზარბაზნები ქუსს.

P.S. ამ საკითხზე კომენტარისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს მივმართეთ კითხვებით: რამ განაპირობა სამინისტროს პოზიცია, რუსული ენა საჯარო სკოლებში თანდათან, საგანდებლო საგნიდან არჩევით საგნად იქცეს? რომელი კლასიდან დაიწება მეორე არჩევითი ენის სწავლება? აღნიშნული ცვლილება რუსული ენის პედაგოგების რიცხვის შემცირებას გამოიწვევს, აქვს თუ არა სამინისტროს დაგეგმილი ღონისძიებები მათ გადასამზადებლად? განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნინო პოტრეუბსკაია, არაერთგზის დაპირების მიუხედავად, ჩვენი კითხვები უპასუხოდ დატოვა.

ნინო კვიტაშვილი ყოველკვირეული გაზეთი „ყველა სიახლე“

პოეზიის კუთხე

აშოთ მანჭი, ჩამიმი ჯუმა

ლაზონაშა მუთა მეტუ,  
სერ დო დღაშით თქვანდა მიფში...  
შეხვალამას ქუდუვობათ  
ჩილამური ხილიში...  
შურ დო გურით მოკო მიბლე  
ტრაპიზონ დო ხობი, ხოფა...  
ქიანას ოკო ქუვობირე  
ლაზ-მარგალიში ყოროფა  
აშოთ მანჭი, ჩამიმი ჯუმა,  
სადღემუშოთ ვადმეთხუა,  
მუ მკიჭირა, მუ მირხინა  
დობოჯათ დო ართო ბოქუათ.

ფარაშ ჰაკალუ

ფარა ორღეფალო გიდუ,  
ვალ გეიძუ მი დო მიშა,  
უაშიეთ ითქვეფუქუ  
ოჭმარეშე სქა სერიშა...  
არბას ღუბამგარო რდინქუ  
მით ქირყუნსუ – სქუას, მოთას,  
შარას მათხირ გილახენი –  
ართ გროშისი ვეგნუყოთა...  
მუთუნქ ვაგორძდ, მუთუნს ვერკე,  
ომანეს დო ოჩხომუქს,  
ქოიარზებნო, სი ნავარი,  
შური სქანი ოჩხონუე?..

ირფელიშა ბურძ ბემიოლ

ართნერ დღალეფს მეგოროცხ,  
მუ უწუა თეცალ რინას,  
დიხაშ ჟი მითინ ვეპალუ,  
გურიშ ჭუა ვამომინას...  
ირფელიშა გურქ გემიოლუ,  
დღალეფქ ქაგურ კოლო ჭურას,  
შქასერ ბორჯის, არზი მორუ:  
ნოტე რინი გამკომსურას...

ვა მიჩქ, ღუდ სო მიკპოტახა

ამდღა ზუგდიდს გილეოქანცა,  
შურ დო გურით შულადირი,  
მითინს ვაჭქ, მუ ელაში  
გურიშ ტომბას ჩუადირო...  
ვა მიჩქ, ღუდ სო მიკპოტახა,  
გილეგობორჯა სოდგა-სოდგა,  
ომარგალე ვამიყორდას  
ღუს ქირქეშა გეგნიპოთა.

რამაზ კუპრა

გთავაზობთ წერილს  
(ნაწევრებას) ბატონ არჩილ  
გოგელაძის წიგნიდან “ასეთი  
საერთაშორისო ცხოვრება”

ბორის პაიჭაძე

ჰქონდა განსაცდელი შრომისმოყვარეობა...

ბორის პაიჭაძეს, ისევე როგორც ქართულ ფეხბურთზე, გულშემატკივრებს საუბარი არასოდეს მოსწონდა. ფეხბურთი, ჩვეულებრივ, დავა-კამათს იწვევს: ერთნი მკითხველს, მეორენი – კიდევ სხვას... და ასე, დაუსრულებლად. მაგრამ, მართალი გითხრათ, ჯერ არ მინახია ფეხბურთის თამაშის მსმელი და გათვითცნობიერებული კაცი, რომელსაც ბორის პაიჭაძის პირველობაში ეჭვი შეპარვოდეს. პირველი ადგილი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში სპეციალისტთა და გულშემატკივართა ყველა თაობამ მას მიაკუთვნა. ასეთივეა თვით ფეხბურთელების, სპორტული ექსპერტების აზრიც. მით უფრო ხალხისათვის აიტაცა საქართველომ ის მეტსახელი, რომელიც ჩვენი ფეხბურთის სიამაყეს პატივისცემით უწოდებს რუმინეთში: **შეხვედრის პარტნიორი**.

ამ სიყვარულისა და აღტაცების გამოვლენას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობთ. მაგონდება გაზეთი **“ფუტბოლი-90 ოპოზიციონიზმი”** ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელშიც ბორის პაიჭაძეც გამოჩნდა. თავშეკავებულმა კომენტატორმა პროფესორმა **“გულგრილობას”** წამით უღალატა, ვერ მოითმინა და თავდავიწყებული გულშემატკივარივით აღაფლანკოვდა ქება სწორუპოვარი ფეხბურთელისა: რა დიდი ბედნიერებაა, რომ თქვენ ბრძანდებით კადრშიო. ეს გახლდათ გულწრფელად ნათქვამი სიტყვები და, ალბათ, მილიონობით ტელემაყურებელი მაღლიერი იყო კომენტატორისა, ამ, ერთი შეხედვით, **“არაპროფესიული”**, ლირიკული გადახვევისათვის...

...ეს იყო 1939 წლის საკავშირო ჩემპიონატზე. თბილისის **“დინამო”** თავის მოედანზე ატყდა მატჩის ანგარიშით 14

მოსკოველ არმიელებთან (ცდკა). თბილისელთა თავმოყვარეობა უკიდურესად შელახული იყო. მეორე ტაიმი ისე განსხვავდებოდა პირველისაგან, როგორც ცა და დედამიწა. თბილისელებს ეწვია შთაგონება. შთაგონება და ტექნიკა – ეს იყო ქართული ფეხბურთის ოდინდელი საფორმო ნიშანი. როცა ეს ორი კომპონენტი მთელი სიმძლავრით ამოქმედდებოდა, **“დინამოს”** მომრევე ცოტა თუ იყო საფეხბურთო სამყაროში. თბილისელებმა მძლავრად შეუტეს მოსკოველ არმიელებს კარს და ოთხჯერ (!) დალაშქრეს იგი. მაშინ იყო, საკავშირო პრესა რომ აღაპარაკდა თბილისის **“დინამოს”** **“საიდუმლო იარაღის”** შესახებ. ეს იყო სრულიად ახლებური ტაქტიკური სქემა, რომელიც პირველად სწორედ ჩვენმა გუნდმა გამოიყენა. ამ სიახლის არსი ის გახლდათ, რომ ცენტრალური თავდამსხმელი (ამ შემთხვევაში ბორის პაიჭაძე) ძირითადად უზურთოდ თამაშობდა და გამუდმებით ცვლიდა ადგილს თავდასხმის ხუთეულთან. ამ მოულოდნელმა გადაადგილებებმა, რასაც თბილისელებმა მეორე ტაიმში მიმართეს, საბოლოოდ დააბნია ცდკა-ს ერთი შეხედვით შეუქცეული დაცვა. ანგარიში ჯერ გათანაბრდა, ხოლო თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიოზ ჯეკელავამ ბორის პაიჭაძის პასით მეხუთედ აიღო მოსკოველთა კარი....

...აღნიშნულმა მატჩმა არმიელებთან, ისევე როგორც ბორის პაიჭაძის სპორტული ბიოგრაფიის სხვა ფურცლებმა, წარმოაჩინა უნივერსალური ფეხბურთელის ფენომენი, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე საფეხბურთო სამყაროში შემოვიღოდა უნივერსალური ფეხბურთელის ცნება. იგი პასუხობდა ფეხბურთის ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს.

როცა ბორის პაიჭაძის თამაშის მომსწრეთა მონაცემები ვუსმენ, ანდა ვეცნობი მის შესახებ გამოქვეყნებულ უამრავ ლიტერატურას, ჩემდაუნებურად ვფიქრობ იმაზე, თუ რით ახდენდა ასეთ დიდ გავლენას მისი თამაში თანამედროვეებზე. ალბათ, ეს უნდა ყოფილიყო მომავალი ფეხბურთის ელემენტები, რითაც ბორის პაიჭაძე აშკარად მთელი თავით აღემატებოდა იმდროინდელ ფეხბურთელებს. ის იყურებოდა წინ და, როგორც ასეთ დროს იტყვიან, დიდად უსწრებდა დროს.

ბორის პაიჭაძის ერთ-ერთი **“თანამება-ჯერე”**, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ ბერეჟნიი იხსენებდა, თუ როგორ თვლიდნენ ზოგიერთები, რომ ბორის პაიჭაძეზე მთელი გუნდი თამაშობდა. ზოგიერთი ამას ნაკლადაც კი უთვლიდა პაიჭაძეს. ბერეჟნიი არ იზიარებდა ამ შეხედულებას. მისი აზრით, ბორის პაიჭაძე იყო ის ფეხბურთელი, რომელსაც ყველაზე უკეთ შეეძლო დაეგვირგვინებინა გუნდის მცდელობა და ჩანაფიქრი. **“არ ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისის “დინამოს” საამაყო ფეხბურთელს უკეთეს მდგომარეობაში მყოფი პარტნიორისთვის დაუფრებელივით არ მიეწოდებინოს ბურთი”**, – იგონებდა ბერეჟნიი და დასძენდა: **“ბორის პაიჭაძე ბრმა მიბაძვის პრინციპული მოწინააღმდეგე იყო, რადგან ფეხბურთში, უწინარეს ყოვლისა, თავისთავადობას აფასებდა. ის თვით იყო ზედმიწევნით თვითმყოფადი ფეხბურთელი, რომელიც არავის არ ჰგავდა. მისი ვარჯიშიცა და თამაშიც ყველასაგან განსხვავებული იყო. მაგრამ ბორის პაიჭაძეს დიდ ნიჭთან და უნართან ერთად**



ილორი

\*\*\*

უპაცრიელ კუნძულზე სამი აღმოჩნდნენ – ორი მამაკაცი და ერთი ქალი. როდესაც ეს სამეული გადაარჩინეს, მამაკაცებს ეკითხებოდა:

– როგორ ინაწილებდით ქალს?

– უბრალოდ, კვირაში სამი დღე ერთს გვყავდა, სამი დღე მეორეს.

– მეშიდღე დღეს რას აკეთებდით?

– მეშიდღე დღეს, ორივე გეცმდით, დაღატისათვის.

\*\*\*

– ექიმო, უკვე ხუთი წელია, ცოლთან არაფერი გამომდის. – რამდენი წლის ხართ? – 75-ის.

– ასაკის ბრალია, ჩემო ბატონო!

– კი მაგრამ, ჩემი 85 წლის მეზობელი ლაპარაკობს, რომ ყოველ წუთს შეუძლია.

– მეტრე, შენც ილაპარაკე!

\*\*\*

ქართველებმა სუპერ-მატარებელი გამოიგონეს და იაპონელები მოიწვიეს სანახავად. სტუმრებმა დიდხანს ათვალიერეს მატარებელი და მხრები აიჩქინეს:

– ასეთი რამ მხოლოდ ქართველებს მოუვათ თავში, ოღონდ გზები არ შეაკეთონ და რას არ მოიგონებენ.

\*\*\*

სვანი ციხიდან გაიქცა. ძებნის შემდეგ დააკავეს და მოსამართლე ეკითხება:

– რატომ გაიქცეით?

– სამი წელი ვიჯექი და მეოთხე წელს შევნიშნე, რომ კამერას ერთი კედელი არ ჰქონდა.

გულწრფელად ვამბობ: ოღონდ ემგავლება აიღონ მთელი საქართველო!

მე-10 გვ-დან

ხედავთ – ახლო აღმოსავლეთში რა ამბავია?! გადაწველებს მიდის, თანაც ისე, რომ, რაც ლიბიაში შეიძლება – ის სირიაში არ შეიძლება. შესაძლოა, კავკასიაშიც რაღაც ძალიან სერიოზული გადაწველება მიდოდეს. მე რუსეთის, ევროპისა და ამით მოლაპარაკებებზე ვსაუბრობ. დიდი ბრიტანეთი არ იყო, გერმანია 20-იან წლებში – ყველა აქ რომ ჩამოვიდა და ტაშ-ფან-დური ჰქონდათ, ყველა რომ გვადარებდა და გველოლიავენოდა? მერე ხომ მიგვატოვეს და შეგვატოვეს? ილია რასაც გვასწავლიდა – **“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყვანება”**, ამ პრინციპით უნდა ვიცხოვრობო. სხვის იმედად ყოფნით არაფერი გვეშველება.

– ბევრი ქართველისთვის ერთი ასეთი იმედის-მომცემი კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებაა, რაც, პირველ რიგში, განვითარებადი ქვეყნის, მონა-მოსამსახურე და გაუნათლებელი ერის კატეგორიიდან გამოსვლასაც გულისხმობს სხვა დანარჩენთან ერთად...

– ისტორიული და გენეტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენთვის რაც კარგია, სწორედ ამის წინააღმდეგი არიან ის ე.წ. ადამიანები, რომლებმაც მამის სახელი, გვარი ამოიღეს პასპორტებიდან, ენასა და სარწმუნოებას შლიან. ან იმაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო, გურამ შარაძე ქუჩაში რომ მოკლეს? რამდენ ხანს ეგდო საცოდავად სისხლში და ვითომ არაფერი მომხდარა?!

– ის სამაგალითოდ მოკლეს და დააგდეს ქუჩაში სხვების დასანახავად...

– კაცი დღეებია იდგა და იძახდა – ქართველებო, ეს ხდება, ის ხდება და ამით – ვითომც არაფერი. მე ვუბნები ე.წ. ოპოზიციას – მიზეზების მეტი საქართველოში რა არის?! თუ რამის თავი და გაკეთების სურვილი გაქვთ, გააკეთეთ. გამოდინ და აქცენტს ისეთ რაღაცებზე აკეთებენ, ძალაუფლებურად ფიქრობ, რომ ჩვენ **“გვიყვარს საყვარელი”** – გვანებებენ, რომ ვითომ რაღაცას აკეთებენ.

ამდენი მიზეზია, გნებავთ, ეკლესიის კანონთან დაკავშირებული და ესენი რაეზე ყვირიან?!

ერთი გამონათქვამი მახსენდება: ერთმა კაცმა თქვა – დილას რომ ვდგები და შარვალს ვიკრავ, მრცხენიაო. მე ვთვლი, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველო ქალებმა გადაარჩინეს. ხომ საცოდაობაა, რასაც მეძვე დედებზე და საზღვარგარეთ წასულ ქალებზე გვიხევენებენ, რა ღონემდე მიიყვანეს, მაგრამ მაინც ქართველი ქალების ზურგზე გადაიარა საქართველოს მიმღე წლების ტვირთმა და ტკივილმა. ქართველი ქალის დამსახურებაა საქართველოს არსებობა. ამას მე, სოსო ჯაჭვლიანი, ამაყად ვამბობ!

– ბატონო სოსო, სექტემბრის ბოლოს უფლისწული დაიბადა ბაგრატიონთა ოჯახში. პატრიარქის წინააღმდეგაც ამიტომ გააქტიურდნენ ასე...

– ხომ იცით, ყველაფერი ზემოთ – ზეცაში წყდება. ისეთი რაღაც ხდება ხოლმე, რასაც ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს. ვინც ჩვენს ინტერესებს წაიკითხავს, დები ზურთითი და წყებულნი, ჩემი სიზმრები გაახსენდებათ. სასწაული სიზმრები მაქვს ხოლმე... გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. პატიმრობისას, ჩემთან შემოსული **“წითელი ჯვარი”** კი დღეებში ეუბნებოდა – ქალბატონო, თავი ისე უჭირავს, რომ იმას ვერ ვაკეთებთ, რის გაკეთებაც გვიწევდა... არ ვანებნები, ცუდად რომ ვიყავი.

ასე რომ, დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება და როგორც ჩვენი პატრიარქი ამბობს – **“საქართველო მაინც გაბრწყინდება”** ცოტა მოვიკოტლეო რაღაცებში, მაგრამ ქართველების ბუნება ხომ იცოდა – **“ცხვარი ცხვარი”**... გაშ-მაგებულ ქართველებზე ხომ გაუგიათ... ამიტომ ჩვენი მეზობლებიც დაწინარებდნენ. იცხოვრონ ჩვენთან ერთად ტბილად. მინისტრებიც, პარლამენტარებიც გახდებიან, ოღონდ ყველა ქართული საქმე უნდა აკეთოს. ქართველმა ხალხმა თავისი დამოკიდებულება იმით გამოხატა, რომ თბილისის მფარველი წმინდანი არის არაბი **“აბო თბილელი”**. ამით ყველაფერი ნათქვამია.

ბაია ამაშუკელი  
საქინფორმი

საქართველოში მიმოცემაში

ათლარიანი მონეტები

შემოდის

საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმოცემაში ათლარიანი მონეტები შემოაქვს. საქართველოს ეროვნული ბანკი შეახსენებს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომ ანგარიშსწორების პროცესში, ლარის ბანკნოტების/მონეტების ვარგისობის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეუფერხებლად მიიღოს 10 ლარის ღირსების ბიმეტალური მონეტები და მოახდინოს აღნიშნული ერთეულით ანგარიშსწორება 10-ლარიანი ნომინალის ბანკნოტების პარალელურად.

10 ლარის ღირსების ბიმეტალური მონეტები, რომლებიც მიმდინარეობს ქრისტეშობის 2000 წლისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის საიუბილეო თარიღებისადმი, დამზადებულია 2000 წელს, მაგრამ აქამდე არ გამოიყენებოდა საბანკო და სავაჭრო ობიექტებში.

ბიმეტალური მონეტების შიდა რკალი ვერცხლისფერია, ხოლო გარეთა რკალი – ოქროსფერი. ორივე მონეტის წიბო დაღარულია და ნატეხივების წესით გასდევს წარწერა „Georgia“ და „Ten Lari“, წარწერებს შორის გამოსახულია ორი ვარსკვლავი.

როგორც ცნობილია, მეტალის მონეტა ყოველთვის ხურდა ფულთან ასოცირდება და საქართველოს მცხოვრებლებს საკუთარი პენსიის 10 პროცენტს ხურდა ფულად რომ უქცევდნენ ქვეყანაში ცხოვრება მთლად სახალისო რომ ვერ იქნება, ესეც ფაქტია!

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი